

ბრიბოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტი

სტუდენტთა უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო  
კონფერენცია

თეზისები

თბილისი  
2011

30 მაისი, 2011 წელი

May 30, 2011

სტუდენტთა უნივერსიტეტთაშორისი სამეცნიერო კონფერენცია

Students' Interuniversity Scientific Conference

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა

© Grigol Robakidze Unuversity Press

## ჰუმანიტარულ მიზნებზე სექცია

*თამარ მახარაძე*

*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ინგლისური ენა და ლიტერატურა  
ბაკალავრიატი, IV დონე*

### შექსპირის მანაბლისეული პიესები

ხელმძღვანელი პროფესორი **დადი ქადაგიშვილი**

1. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ივანე მანაბელი შევიდა, როგორც შექსპირის ტრაგედიათა კლასიკური თარგმანების შემქმნელი. მანაბელის თარგმანები ჭარბობენ თავისი ძალით ყველა იმ თარგმანებს, რომლებიც დღემდე შესრულებულა ქართულ ენაზე.
2. ქართული ენის უმდიდრესი ნიუანსების დიდი მცოდნე ივანე მანაბელი პოულობს შექსპირის მოქნილი წინადადებების ბრწყინვალე შესატყვისებს. მის მიერ თარგმნილ ლექსებსა თუ პროზაული ადგილების თარგმანებში მანაბელი დაეყრდნო სალიტერატურო ენასა და ხალხურ ტრადიციებს, შექსპირის გენიალური დედანის შესაბამისად.
3. ივანე მანაბელის ლექსის ვერსიფიკაცია თავისი დამახასიათებელი ზომით, ინტონაციითა და შეფერილობით შექმნილია ბართაშვილის შემოქმედების გავლენით. შექსპირის მრავალი მონოლოგი და განწყობილება კარგად დაემთხვა ბართაშვილის პოეტურ ტრადიციას. მანაბელმა თავისი შემოქმედებითი ინტუიციის წყალობით მიაგნო ამ შესაძლებლობას და გამოიყენა კიდევ თავის მოქნილ ლექსთწყობაში.
4. ივანე მანაბელი არა მარტო თავისი მაღალი ინტელექტის წყალობით მისწვდა და უშუალოდ განიცადა შექსპირის შემოქმედების დიდი პრობლემები, არამედ შექმნა ორიგინალის ადეკვატური, რეალისტური თარგმნის სტილი. ის თარგმანებს არსად ატკბილებს, არ ვარდება სენტიმენტალიზმში, არასოდეს არის ხელოვნური, არამედ ზოგჯერ უკმეხია და მკაცრი. მანაბლის თარგმანი ხან ლირიკულად მიმდინარეობს, ხან ობიექტურად გადმოსცემს მოვლენათა და ხასიათთა ნათელ და ჩრდილოვან მხარეებს.

*თონა ტორაძე*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*ინგლისური ენა და ლიტერატურა*  
*ბაკალავრიატი, III დონე*

**ჯაზის ხანა და სკოტ ფიცჯერალდი**

**ხელმძღვანელი პროფესორი დალი ქადაგიშვილი**

1. მე-20 საუკუნის 20-ან წლებს ლიტერატურაში „ჯაზის ხანად“ მოიხსენიებენ. ეს ტერმინი თავად ფრენსის სკოტ ფიცჯერალდს ეკუთვნის. ამ დროს ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოდ გვევლინება. 1920-1929 წლებმა მთელი რიგი ცვლილებები შემოიტანა ამ ქვეყნის ხალხის ცხოვრების სტილში, ტექნიკასა და კულტურაში.
2. პოლიუდი ხდება ახალი ოცნებების ფაბრიკა, უოლ-სტრიტი კი, მსოფლიოს მარკეტი. ამერიკელებს შესაძლებლობა აქვთ შეუკვეთონ საქონელი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. ამერიკელები შეიპყრო ალკოჰოლმა, სექსმა, მუსიკამ. ამერიკაში ჰქუხს ჯაზის აკორდები.
3. ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი ახალი ამერიკის ბრწყინვალე წარმო-მადგენელია: სიამოვნებას აყალიბი, მფლანგველი, ამერიკის ყველაზე დიდი მეოცნებე და მეხოტბე, მგზნებარე და ჭეშმარიტად დიდი გეტსბი, მომავლის დადი რწმენით გამსჭვალული.

*ნინო ნახუცრიშვილი  
კრივულ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ინგლისური ენა და ლიტერატურა  
ბაკალავრიატი, I დონე*

ვიქტორიანული ხანა

ხელმძღვანელი პროფესორი **დალი ქადაგიშვილი**

1. ვიქტორიანული ხანა გამორჩეულა მისი მყარი და მიზანდასახული პერსპექტივებით, უზარმაზარი ძალით და ასევე, მიღწევებით. XX საუკუნის დასაწყისში ძლიერი დაპირისპირება მოხდა ვიქტორიანული კულტურის წინააღმდეგ, რამაც კრიტიკულ გაუგებრობამდე მიიყვანა სალიტერატურო და საარტისტო პროდუქცია, მაგრამ ბალანსი ახლა გაწონასწორებულია და ჩვენ უნდა დავაფასოთ ვიქტორიანული ხელოვნება და ლიტერატურა.
2. ბრიტანეთის თეთრი კოლონიები, როგორც კანადაში, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში თავად მოსახლეობამ შთანთქაფართო ექსპანსიის ხარჯზე. საუბედუროდ, განადგურების საფრთხე ყველაზე მეტად მოსახლეობას ემუქრებოდა. ისევე როგორც დღეს, ბრიტანელები ამყობდნენ თავიანთი იმპერიით და ყველა სფეროში ცივილიზაციის ექსპლუატაციით. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ბრიტანეთის იმპერიამ მწვერვალს მიაღწია.
3. XX საუკუნის ბოლოს ინგლისში და უელსში იყო შვიდი უნივერსიტეტი. კლაში პროფესიულ საგნებზე დასწრებამ დიდი მიღწევები მოუტანა ტექნიკურ განათლებას. ყველაზე შორს მიმავალი შედეგები მოჰყვება თავისუფალი უნივერსალური განათლების პოპულარიზაციას. გამოვიდა გაზეთი ფართო საზოგადოებისათვის.
4. ამ პერიოდის ბრიტანული მხატვრობა წარმოდგენილი იყო ცნობილი სახეებით, როგორცა დევიდ უილკი, უილიამ მულრედი და დევიდ სკოტი, რომლებმაც კვალი დატოვეს ბრიტანეთის კულტურული ცხოვრების განვითარებაში.

*ქეთევან ყაველაშვილი*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*ინგლისური ენა და ლიტერატურა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

ამერიკული პროზის კორიფეები - ჩარლზ ბროქჰენ  
ბრაუნე, ვაშინგტონ ირვინგი, ჯეიმს უინიფორ კუპერი

ხელმძღვანელი პროფესორი **დალი ქადაგიშვილი**

1. ამერიკული მხატვრული ლიტერატურის პირველი კორიფეები, რომლებიც აღიარეს მთელ მსოფლიოში იყვნენ: ჩარლზ ბროქჰენ ბრაუნე (1771-1810), ვაშინგტონ ირვინგი (1789-1889) და ჯეიმს უინიფორ კუპერი (1789-1859). ისინი წერდნენ ამერიკის ყოფაზე, მის ისტორიაზე, მომავალზე, ცვლილებებსა და წმინდა ამერიკულ სევდაზე. ეს მწერლები ლიტერატურის თითქმის ყველა ჟანრში მუშაობდნენ. გამუდმებით ეძიებდნენ და ამკვიდრებდნენ ახალ ფორმებს, სტილს და გზებს.
2. ოთხმა რომანმა „ვილანდი“ (1798), „ედგარ ჰანტი“ (1799), „არტურ მერვინი“ (1799) და „ორმონდი“- ჩარლზ ბრაუნს სახელი გაუთქვა. ამ ნაწარმოებებით მან დაამკვიდრა სტილი - „გოთიკა“, რაც საშუალებას იძლეოდა საუკეთესოდ წარმოესახა მისტიკა და ფსიქოლოგიური განცდა.
3. ვაშინგტონ ირვინგმა ჯეფრი კრენის სახელით გამოსცა ესკიზების წიგნი, ამ წიგნში იგი გვევლინება მწერლად, რომელიც ფლობს დახვეწილ სტილს და ფაქიზ სულს, რომელსაც მწერალი იყენებს ემოციური ეფექტისათვის და სიმბოლიკის გადმოსაცემად.
4. ჯეიმს კუპერი ველური სამყაროს ნგრევის თვითმხილველია. პირველი გამოცდილება ხელს უწყობს მწერალს მთელ სიდიდით აღწეროს ველური სამყარო. ზღვა მისი მშობლიური სტიქია იყო. მისი რომანების მთავარი გმირი ნათი ბემპო ბუნებით არისტოკრატი ფლორიდენის ტიპური სახეა. იგი პირველად ჩნდება 1823 წელს დაწერა რომანი „პიონერები“ და წარმოადგენს იმ ურიცხვი კოვბოების პროტოტიპს, რომლებიც ასე უხვადაა სახელეუბლი ამერიკულ მხატვრულ ლიტერატურასა და კინოში.

*ხათუნა აზარაშვილი, სოფიკო ხეხელაშვილი  
კრივულ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ინგლისური ენა და ლიტერატურა  
ბაკალავრიატი, IV დონე*

ბანრისხეპული ახალგაზრდები

ხელმძღვანელი პროფესორი **დალი ქადაგიშვილი**

1. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბრიტანეთის სამწერლობო ასპარეზზე ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც შემდგომ „განრისხებული ახალგაზრდების“ სახელით შემოვიდნენ ლიტერატურაში. ეს იყო ბრიტანელი დრამატურგებისა და რომანისტების ჯგუფი, რომელთაც უკმაყოფილება გამოხატეს თავიანთ ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური წესრიგის გამო. მათ არ მოსწონდათ ტრადიციული ბრიტანული კლასობრივი სისტემა. ეს მოძრაობა გამოვიდა მაღალი საზოგადოების ფარისევლობის წინააღმდეგ. ისინი აკრიტიკებდნენ ხელისუფლების საქციელს, რაც სხვადასხვაგვარად აისახა მათ შემოქმედებაში. ეს იყო ინტელექტუალების ახალი ტალღა და ძირითადად შედგებოდა მუშათა კლასისა და დაბალი ფენის წარმომადგენლებისაგან. მათ შორის იყვნენ ინგლისელი რომანისტი ჯონ ბრენინი და დრამატურგი და სცენარისტი ჯონ ოსბორნი.
2. ჯონ ბრენინი ძირითადად ცნობილია მისი რომანებით „გზა მაღალი საზოგადოებისკენ“ და „ცხოვრება მაღალ საზოგადოებაში“. ეს ნაწარმოებები ინგლისის მაღალი საზოგადოების თვითკმაყოფასა და დაბალი ფენების მისწრაფებების რეალისტურ თემებს ეხება, სააშკარაოზე გამოდის ადამიანების გაორებული და პატივმოყვარე ბუნება. ჯო ლემპტონი თავისი მიზნების მისაღწევად საყვარელ ქალსაც არ ინდობს და მთელი თავისი ცხოვრება სანანებლად ექცევა. მოსწონს მას საკუთარი თავი? ცხადია არა, მაგრამ ის სხვაგვარად ვერ მოიქცევა, იგი თავისი ეპოქის შვილია.
3. ჯონ ოსბორნიმ შეცვალა ბრიტანეთის თეატრი. მისი პიესა „უკან მოიხედე განრისხების უამს“ ბრიტანეთის თეატრის ისტორიაში შემობრუნების წერტილი იყო. ამ პიესამ აქცია იგი თეატრის ტელევიზიისა და კინოს მთავარ დრამატურგად. აქ მან

აშკარად გამოსატა პოსტ-იმპერიალისტური კრიტიკა. ოსბორნი იყო პირველი, რომელმაც თავის შემოქმედებაში საკმაოდ მოხდენილად, გამომწვევად ხაზი გაუსვა და დაასაბუთა ოჯახური დრამა მონარქისტული ინგლისის ყოფა-ცხოვრებაში. ინტელექტუალი ჯიმის პორტერის მეშვეობით მან ჭეშმარიტების ძალა და სიძლიერე დაუპირისპირა ცუდ ქცევასა და ცუდ გემოვნებას.

*ირმა ცაგურია, გვანცა ჯობავა  
კრივალ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ინგლისური ენა და ლიტერატურა  
ბაკალავრიატი, IV დონე*

ბუღა - ბუღისტური რელიგიის ღმერთი

ხელმძღვანელი პროფესორი **დალი ქადაგიშვილი**

1. ბუღიზმი ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს რელიგიად და ფილოსოფიად, რომელიც მდიდარია მრავალფეროვანი ტრადიციებით. ბუღიზმი დაკავშირებულია სიღპარტა გუატამას სახელთან. ბუღიზმი აღიარებულია მე-4 უდიდეს მსოფლიო რელიგიად, ქრისტიანობის, ისლამისა და ინდუიზმის შემდგომ.
2. ბუღამ აღმოაჩინა სამყაროს რეალური სახე, მიაგნო გზას ადამიანური სიმშვიდისაკენ, შეიგრძნო დაბადებისა და სიკვდილის შიში... და მიაგნო შინაგან ბედნიერებას. ბუღამ შეიძინა ბევრი მიმდევარი. ერთ-ერთი შემთხვევა ადასტურებს, რომ მის მოსასმენად დაახლოებით 1250 ბერმა მოიყარა თავი.
3. ბუღა გულწრფელად აცხადებდა, რომ ის არ იყო ღმერთი და არც მისი მოციქული. იგი მხოლოდ ცდილობდა სულიერი სიმშვიდის მოპოვებას. ცდილობდა შეეცნო სიმშვიდე და სულიერი ბედნიერება, რომლის აღმოჩენაც ნებისმიერ ადამიანს თავადვე შეუძლია.
4. XXI საუკუნის დასაწყისში, მსოფლიო მასშტაბით არსებობდა დაახლოებით 400 მილიონი ბუღიზმის მიმდევარი. ბუღა დღემდე აღიარებულია უდიდეს ფიგურად ბუღისტებისთვის. მისი ცხოვრება და ქადაგება მრავალი მიმდევრისათვის სამაგალითოა,



რომლებიც დღემდე აგრძელებენ მისი რელიგიისადმი უდიდეს პატივისცემას, მისი მრავალფეროვანი ტრადიციები დღემდე ვრცელდება მსოფლიოს მასშტაბით.

*ხატია შედანიას  
კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ინგლისური ენა და ლიტერატურა  
ბაკალავრიატი, IV დონე*

ბროდვეი

ხელმძღვანელი პროფესორი **დადი ქადაგიშვილი**

1. ბროდვეის ისტორია დაიწყო 1900 წლიდან ნიუ-იორკში, მე-13-ე ქუჩაზე. ყველაფერი დაიწყო მცირე თეატრებით, რომლებიც კარგ ბიზნესს აწარმოებდნენ. დროთა განმავლობაში ბროდვეიმ დგევანდელი სახე მიიღო. ბროდვეის მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ამერიკის ისტორიაში. ბროდვეი ნიუ-იორკის ფართო გამზირია, რომელიც მთელი მანჰეტენის სიგრძეზე გრძელდება.
2. ბროდვეი გთავაზობთ თეატრებს, რესტორნებს, გართობას, დამის კლუბებს, შოპინგს. როგორც ყველაზე დიდი გასართობი ცენტრი სამხრეთ კალიფორნიაში, ბროდვეი იზიდავს 14 მილიონ მნახველს. ის გამოირჩევა ორიგინალურობით, რაც მას სხვებისგან განასხვავებს და ხდის წარმატებულს. ვინც შექმნა ბროდვეი, ძალიან კმაყოფილი უნდა იყოს თავისი წარმატებით.
3. ბროდვეის ნაწარმოებებს და მსახიობებს ყოველწლიურად აჯილდოვებენ ანტუანიტე პერი ევორდზით, ანუ ტონი ევორდზი. ამერიკული თეატრი უინგის და ბროდვეი ლიგის მიერ. ტონი ევორდზი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა, ის კოლიუდის აკადემიის ჯილდოს უტოლდება. შოუს ცნობილი სახეები მასპინძლობენ. შემდეგი დაჯილდოვება ჩატარდება 2011 წლის 12 ივნისს.

## სოციალურ მენეჯერებათა სემინარი

*თამარ ღვაჭაძე, ანა ანუშიძე  
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საერთაშორისო ურთიერთობები  
ბაკალავრიატი, IV დონე*

ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

ხელმძღვანელი დოქტორანტი გიზო ჭელიძე

1. ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. შეუძლია თუ არა ევროკავშირს მთავაროს ის პრობლემები, რომლის გადაწყვეტაც ევალება მის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნებს? რამდენად ეფექტურად მოქმედებს ევროკავშირი ამ კუთხით? რატომ გადავწყვიტეთ ამ საკითხის განხილვა?
2. განხილვა მასტრიხტის ხელშეკრულების, ამსტერდამისა და ლისაბონის, რომლის შემდგომაც მოხდა ბევრი სახის ცვლილება ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში.
3. რა არის ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა? მისი ისტორიული მიმოხილვა და დღევანდელი სახე, როდის ჩამოყალიბდა ეს ინსტიტუტი, რა სახის იყო ადრე და რა სახისაა დღეს?
4. კეტრინ ეშტონი-უმაღლესი წარმომადგენელი ევროკავშირის საერთო საგარეო პოლიტიკისა, მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვა. საგარეო პოლიტიკის ინსტუმენტების სამსახური, რას გულისხმობს, როდის დაარსდა, ვინ ხელმძღვანელობს?
5. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის 4 ძირითადი მიზანი.
6. ვლევის განხილვა, რომელიც ჩაუტარდათ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, შემდეგ კითხვებზე: რამდენად ეფექტურად არის ჩართული ევროკავშირი ლიბიის კრიზისში? რამდენად აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირი იაპონიის 11 მარტი - 11 აპრილის ტრაგედიაში?
7. კვლევის შედეგების გაცნობა და მოკლე ანალიზი.

8. რამდენად გამართლდა კვლევამდელი ჰიპოთეზა? რა დასკვნებამდე მიგვიყვანა კვლევამ? როგორი იყო ჩვენი მოლოდინი, გამართლდა ეს მოლოდინი თუ არა? შესაძლებელია კვლევის გამოყენება სხვა კვლევებისათვის?

*ნანა რობიტაშვილი*

*ივ. ჭავჭავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საერთაშორისო ურთიერთობები  
ბაკალავრიატი, III დონე*

ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა

ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჩიტაზე

1. ნატო შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს. ნატო არის მსოფლიოს უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელიც აერთიანებს ევროპის ქვეყნებს, აშშ-ს და კანადას. მასში გაერთიანებულია 28 ქვეყანა.
2. ნატოს შექმნის მთავარი მიზეზი იყო საბჭოთა იმპერიის არსებობა და ვარშავის პაქტის შექმნა. არსებობდა აზრი, რომ მოწინააღმდეგის არ არსებობის პირობებში ნატო-ც ვარშავის პაქტის ბედს გაიზიარებდა. თუმცა ასე არ მოხდა და ნატო-მ შეითავსა ახალი ფუნქცია თანამედროვე სამყაროშიც.
3. ნატო-ში გაწევრიანების კრიტერიუმებია: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო.
4. „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ (MAP), რომელშიც ჩამოყალიბებულ იქნა რეკომენდაციათა ნუსხა ნატო-ში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისათვის. გეგმა მოიცავს 5 ძირითად თავს:
  - პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები;
  - თავდაცვისა და სამხედრო საკითხები;
  - რესურსები;
  - უსაფრთხოების საკითხები;
  - სამართლებრივი საკითხები.

5. „ნატო-ს გაფართოება არ შეესაბამება დღევანდელ მსოფლიოში არსებულ რეალობას, რადგან მხოლოდ საერთო მოქმედებებით შეიძლება თანამედროვე გამოწვევების გადაჭრა და არა „ცივი ომის“ შემდეგ დარჩენილი სამხედრო ბლაკის მექანიკური გაფართოებით, რომელიც განპირობებულია ბლაკის ძირითადი მიზნებით გათვალისწინებული ტერიტორიების მიერთებით და იდეოლოგიური ინერციით”, - სერგეი ლავროვი.
6. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რუსეთი და ნატო თანამშრომლობენ, კერძოდ, ნატო-რუსეთის საბჭო (NRC) შეიქმნა 2002 წლის მაისში, რომლის მიზანია ნატო რუსეთის ურთიერთობების გაღრმავება.
7. ნატო-საქართველოს თანამშრომლობა 1994 წლიდან იწყება. 2004 წლიდან, აღიანსმა საქართველოსთან დაიწყო ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP - Individual Partnership Action Plan) ფორმატში თანამშრომლობა. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო პირველი სახელმწიფო, რომელთანაც აღიანსმა დაიწყო IPAP-ი.
8. რაც შეეხება საქართველოს, ვინაიდან საქართველოს მნიშვნელოვანი გეო-პოლიტიკური მდებარეობა გააჩნია ნატო უფრო მეტად უნდა იყოს დაინტერესებული მისი ატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაციით.
9. საქართველოს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ენერჯო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მიმდინარე მოვლენებმა აჩვენა, რომ ერთ ენერჯო მომწოდებელზე დამოკიდებულება იწვევს პოლიტიკურ მანიპულაციებს, რაც აუცილებელს ხდის რესურსების მიწოდების დივერსიფიცირებას.
10. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ხელს შეუწყობს რეგიონში დემოკრატიული პროცესების განვითარებას. შესაბამისად, ნატო-ს კარი კვლავ ღიაა და ელოდება ახალ წევრებს, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ აღიანსის მომავალი გაძლიერებისთვის.

*ბექა ფაშალიშვილი*  
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*პოლიტიკური მეცნიერებები*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

პოლიტიკური რეკლამა

ხელმძღვანელი **ირაკლი კახიძე**

1. რა არის პოლიტიკური რეკლამა? რისთვის იყენებენ მას?
2. რატომ არის პოლიტიკოსის “გაყიდვა” უფრო ძნელი ვიდრე სხვა პროდუქტის?
3. როგორია ტიპური ამომრჩეველი? ურთიერთობა ამომრჩეველსა და პოლიტიკურ კანდიდატს შორის; უკ სეგალას 8 მცნება.
4. რა უნდა იყოს პოლიტიკური რეკლამის ძირითადი განმსაზღვრელი ატრიბუტი? რა ადგილი უკავია ღლოსუნებს პოლიტიკურ რეკლამაში?
5. ანტირეკლამის პოზიტიური გამოყენება პოლიტიკურ რეკლამაში.
6. როგორ უნდა მოიქცეს კანდიდატი, რომ ეფექტურად შეასრულოს სარეკლამო ფუნქცია და იმავდროულად იყოს წარმატებული თვითრეგულირებადი რეკლამა? რა როლს თამაშობს ლიდერის იმიჯი პოლიტიკური რეკლამის დროს? ლიდერის იმიჯის კომპონენტები.
7. ლიდერის ცნობადობის საჭიროება პოლიტიკური რეკლამის კეთებისას; ნდობის კრედიტი საზოგადოებაში ლიდერის მიმართ.
8. რომელი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებაა უპირატესი? მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების როლი პოლიტიკურ რეკლამაში.
9. ქართული მედიასივრცე არჩევნების დროს; მედია, როგორც ელექტორატზე მანიპულირების საშუალება.

10. პლაკატები; ბილბორდები; კანდიდატის ქვესტიკულაცია პოსტერზე; ფერთა შეხამება პლაკატზე (ქართული პარტიების მაგალითზე).
11. პოლიტიკური რეკლამის კულტურა საქართველოში (2010 წლის მერის არჩევნების მაგალითზე).

***რუსუდან ავალიანი**  
კაკაასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
საერთაშორისო ურთიერთობები  
ბაკალავრიატი, I დონე*

ქართველ პოლიტიკოსთა კამათის ეთიკა  
(ზოგიერთი ტიპური ასპექტი)

ხელმძღვანელი პროფესორი **დიანა ტყეშუავა**

1. პოლიტიკოსის მიზანი უნდა იყოს საკუთარი ქვეყნის აღორძინება, გაძლიერება, ეფექტური, პროგრესული რეფორმების გატარება. იქნება ის ოპოზიციონერი თუ ხელისუფლების წარმომადგენელი. მისი ყველა ქმედება და მისწრაფება ამ მიზანს უნდა ექვემდებარებოდეს.
2. პოლიტიკოსთა შორის ხშირია უთანხმოება, კამათი, რასაც განსხვავებულ აზრთა და შეხედულებათა შეჯახება იწვევს. ასეა საზოგადოდ და გამონაკლისს არც თანამედროვე ქართული რეალობა წარმოადგენს.
3. პოლიტიკოსებმა კამათისას აუცილებლად უნდა დაიცვან ეთიკის ნორმები. მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა გარდაუვალია, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს დაპირისპირების, ურთიერთმტრობისა და სკანდალების საფუძველი.
4. ლოგიკის კანონებით, არსებობს კამათის ოთხი სახეობა: დისკუსია, პოლემიკა, სოფისტიკა და ეკლექტიკა.
5. დისკუსია კამათის ყველაზე ცივილიზებული და ეფექტური ხერხია. იგი გულისხმობს ჭეშმარიტების დადგენას კორექტული მეთოდების გამოყენებით. კამათის სწორედ ეს სახე უნდა გამ-

ოიყენოს პროფესიონალმა პოლიტიკოსმა.

6. თანამედროვე საქართველოში ხშირად პოლიტიკოსთა კამათის ეთიკა დაბალი დონისაა; მოკამათენი არცთუ იშვიათად მიმართავენ ეკლექტიკასა და სოფისტიკას, რითაც ჭეშმარიტების დადგენა ძალზე ძნელდება და კამათის მიზანი მიუღწეველი რჩება.
7. ილია მართალი ბრძანებს: „განა ავს ავი არ დაერქმის და კარგს კარგი ადამიანის პირადობის შეურაცხყოფის გარეშე?!“ ამ შეგონების გათვალისწინება ერთნაირად აუცილებელი და სასარგებლო იქნება ყველა ქართველი პოლიტიკოსისათვის, რომელ მხარესაც უნდა იდგეს და რომელი პარტიის სახელითაც უნდა გამოდიოდეს.

*მარიამ ცხორება შეილი  
კაკაბასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ჟურნალისტიკა  
ბაკალავრიატი, I დონე*

თანამედროვე მედიაბაზარი: პრობლემები და პერსპექტივები

ხელმძღვანელი პროფესორი დიანა ტყეშელაშვილი

1. თანამედროვე მედიაბაზარი არაერთგვაროვანი და ძალზედ რთულია: საზოგადოების ნაწილს აკადემიური, პროფესიონალური გამოცემები და გადაცემები მოსწონს, მაგრამ ასეთი მომხმარებელი ძალიან ცოტაა პროცენტულად. ძირითადად ე.წ. „ყვითელ პრესას“ მეტი გასაავალი აქვს უფრო პოპულარული და ბიზნესის თვალსაზრისით მომგებიანია.
2. ჩვენ მიერ ჩატარებულმა მცირე სოციოლოგიურმა გამოკვლევამ დაგვარწმუნა, რომ არც თუ იშვიათად, მკითხველი ცდილობს თავისი სუბიექტური აზრის, დამოკიდებულების შენიღბვას: შეკითხვაზე თუ რა ტიპის გამოცემები მოსწონთ უყოყმანოდ პასუხობენ, რომ აკადემიურს ანიჭებენ უპირატესობას, მომდევნო კითხვის პასუხად კი, თავიანთ რჩეულ გამოცემებად გვისახელებენ ე.წ. „ყვითელი პრესის“ ნიმუშებს.

3. ჟურნალისტი ვალდებულია ინფორმაცია მკითხველამდე მიიტანოს ფაქტების დამახინჯებისა და გაზვიადების გარეშე. თანამედროვე ქართული მედია სივრცე პროფესიონალი ჟურნალისტების დეფიციტს განიცდის, შედეგად – დეფორმირებული, უგემოვნო, მდარე ხარისხის ინფორმაცია არცთუ იშვიათია ჩვენს ბეჭდურ გამოცემებში.
4. ჟურნალისტი სთვლის ძალზედ მნიშვნელოვანია მომხმარებლის დაკვეთა, მისი მოლოდინი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ავტორი რაიმე კომპრომისზე უნდა წავიდეს ამის გამო. საკუთარ სინდისთან, პროფესიონალიზმთან ან ეთიკასთან მიმართებაში. თანამედროვე ბეჭდური მედია ამგვარი მიუღებელი კომპრომისების არაერთ ნიმუშს გვთავაზობს.

*მარი მელიქიშვილი*  
*ივ. ჭავჭავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*ჟურნალისტიკა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

#### საზოგადოებრივი მაუწყებლები

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ხათუნა კაჭარავა**

1. საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმოადგენს ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ იურიდიულ პირს, რომელიც არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ ექვემდებარება. მისი მთავარი მიზანია, იყოს დამოუკიდებელი პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებას მრავალფეროვანი პროგრამებით.
2. ზოგადად, საზოგადოებრივი მაუწყებლობა გულისხმობს რადიოს, ტელევიზიის და მედიის სხვა საშუალებების ფუნქციონირებას. საზოგადოებრივი მაუწყებლები, ძირითადად, საჯარო დაფინანსებით, შემოწირულობებით ფინანსდებიან, თუმცა ზოგჯერ სახელმწიფო პირდაპირ ბიუჯეტიდან გამოყოფს
3. იტალიაში საზოგადოებრივ მაუწყებლობას ახორციელებს იტალიის რადიო-ტელევიზიო, (რადიოტელევიზიონი იტალიანა- რაი) რომელიც 1924 წელს დაარსდა. იგი ჩამოყალიბდა კერძო მე-



წარმეების და მარკონი ჯგუფის მიერ. გაერთიანებულ სამეფოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის უდიდესი და უძლიერესი ტრადიცია აქვს. მის საზოგადოებრივ მაუწყებელს ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია წარმოადგენს (BBC- The British Broadcasting corporation). იგი 1922 წელს დაარსდა და ბრიტანეთის სამეფო კარის მიერ ფინანსდებოდა, თუმცა 1927 წლიდან უკვე საზოგადოების მიერ დაფინანსებული კორპორაციაა.

4. რაც შეეხება საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელ პირველ არხს, მან მაუწყებლობა 1956 წელს დაიწყო. კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრულია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამართლებრივი სტატუსი, რომლის მიხედვითაც იგი უნდა იყოს პოლიტიკური და კომერციული გავლენისგან თავისუფალი. იქიდან გამომდინარე, რომ ქართული მედია მოდელი ლიბერალურ მოდელს მიეკუთვნება და ბრიტანულ მოდელზე დაყრდნობით არის შექმნილი, განსაკუთრებით საინტერესოა ბრიტანული და ქართული საზოგადოებრივი მაუწყებლების შედარება.

*გიორგი იაშვილი  
კავკასიის ხაერთაშორისო უნივერსიტეტი  
ჟურნალისტიკა  
ბაკალავრიატი, I დონე*

ლოგიკური ხრიკები, შურნალისტური არბუმენტირებულობის  
„შაპი ხვრელი“

ხელმძღვანელი პროფესორი დიანა ტყეშავა

1. ნაშრომში საუბარია ლოგიკურ ხრიკებზე - იღეთებზე, რომელთაც საკმაოდ ხშირად ვაწყდებით მასმედიაში: პუბლიცისტიკაში, ორატორულ გამოსვლებში და ა.შ. ლოგიკური ხრიკი არის თეზისის დასაბუთების არასწორი, მცდარი მეთოდი - მაგრამ თანამოსაუბრის, მკითხველისა თუ მსმენელის ფსიქოლოგიური თავისებურებების, განწყობისა თუ ხასიათის გამო, ლოგიკური ხრიკი შესაძლოა სავსებით დამაჯერებლად და სარწმუნოდ აღერდეს.

2. ლოგიკური ხრიკების გამოყენების საფროხეები პუბლიცისტიკაში განსაკუთრებით მაღალია, ვინაიდან პუბლიცისტიკა

გამოირჩევა იმით, რომ გარდა ინფორმაციულობისა, კონკრეტულ ემოციურ ფონს შეიცავს და მის ექსტრაპოლირებას ახდენს მკითხველსა თუ მსმენელზე. ამრიგად, იკვეთება აშკარა საჭიროება ლოგიკური ხრიკების კლასიფიკაციის, განმარტების და, რაც მთავარია - საზოგადოებისთვის გაცნობისა, რათა საზოგადოება მკითხველი ინფორმირებული იყოს მის წინააღმდეგ გამოყენებული არაკეთილსინდისიერი მეთოდების შესახებ.

3. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ლოგიკური ხრიკების კლასიფიკაციას და განმარტებას ეთმობა. თეორიულ დებულებებთან ერთად, დართულია ნიმუშები რეკლამიდან, პუბლიცისტიკიდან და მთარეული გამოთქმებიდან.
4. ლოგიკურ ხრიკებს ე.წ. „არაფორმალური ლოგიკის“ ჭრილშიც მიმოვიხილავთ, ვსაუბრობთ რა გავრცელებულ ფრაზეოლოგიურ შაბლონებზე და მათ რეალურ ქვეტექსტზე.

*ნოდარ ჩხაიძე  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ჟურნალისტიკა  
ბაკალავრიატი, I დონე*

ქართული მედიის ეთიკურობის ხარისხი

ხელმძღვანელი პროფესორი დიანა ტყეშუავა

1. არისტოტელეს პოსტულატი: „სიმართლე სიკეთის სახელით“ პროფესიონალმა ჟურნალისტმა პრაქტიკაში უნდა გაატაროს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს არ ხდება, თანამედროვე ქართულ რეალობაში ვინაიდან პრესაც და ტელევიზიაც სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის იარაღს წარმოადგენს.
2. რადგან თანამედროვე მასმედია ბიზნესიცაა სარედაქციო ჯგუფები ზოგჯერ უპირატესობას ანიჭებენ ისეთ პუბლიკაციას, რომლებშიც შესაძლოა სიმართლე ნაკლებად იყოს, მაგრამ მაყურებელს და მკითხველს იზიდავდეს. ანუ გათვლა ხდება არა ინფორმაციის ხარისხზე არამედ ტირაჟის გაყიდვაზე.
3. გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტებს პირუთენელობის

ცნება ხშირად არასწორად ესმით, ვინაიდან სიმართლის წერა არ ნიშნავს გახეთის ფურცლებიდან უხამსობისა და შეურაცხმყოფელი ფრაზების შეთვაზებას, რომლებიც ზოგჯერ პიროვნების მისამართითაც არის თქმული

4. „ალია“ და „ასავალ-დასავალი“ რეიტინგის გაზრდის მიზნით სისტემატურად აქვეყნებენ სტატიებს, რომლებიც ხშირად ხელფოფენ ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს
5. თანამედროვე მედია ბაზარზე „კვირის პალიტრა“ გამოირჩევა იმით, რომ აკადემიურ პრინციპებს არასდროს დაღატობს, ასევე ცდილობენ დელიკატურობის შენარჩუნებას: გახეთი „24 საათი“ და „ახალი თაობა“.

*თამთა ღვედაშვილი  
კრივულ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ტელე-რადიოჟურნალისტიკა  
ბაკალავრიატი, II დონე*

ეთიკის კოდექსი საზოგადოებრივი მაუწყებლის  
ბრიტანული BBC-ის და საქართველოს საზოგადოებრივი  
მაუწყებლის „ვირველი არხის“ მბაალითხე

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ხათუნა კაჭარავა**

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის მოვალეობაა ჟურნალისტიკისა და მაუწყებლობის უმაღლესი სტანდარტების დანერგვა და მათი პრაქტიკული გამოყენება. საზოგადოებრივი მაუწყებლობა არ უნდა მიეკუთვნებოდეს არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს და თავისუფალი უნდა იყოს კომერციული ზეწოლისგან. საზოგადოებრივი მაუწყებლობა სწორედ საზოგადოებისგან უნდა იყოს დაფინანსებული და პასუხობდეს მათ მოთხოვნებს.
2. დიდ ბრიტანეთში BBC ვაღდებულია დანერგოს ჟურნალისტიკისა და მაუწყებლობის უმაღლესი სტანდარტები. BBC -ის თანამშრომლები ვაღდებულები არიან დაიცვან სარედაქციო სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც მისი ფასეულობებისა და სტანდარტების კრებულს წარმოადგენს. სტანდარტები მოიცავს პოლიტიკისა და დანაშაულებების, ბავშვებისა და უმ-

ცირესობების პრობლემების გაშუქებას და სხვას. უმთავრესი სახელმძღვანელო პრინციპებია სიზუსტე, მიუკერძოებლობა, განსხვავებულ აზრებსა და შეხედულებებს შორის ბალანსის დაცვა.

3. „ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი“ შექმნილია ჟურნალისტთა ეთიკის ძირითადი პრინციპების დასაცავად. მას არ გააჩნია კანონის ძალა. საქართველოში სიტყვის თავისუფლება გარანტირებულია ქვეყნის ძირითადი კანონით- კონსტიტუციით, რომელიც მოიცავს აზრის, შეხედულების თავისუფლად გამოხატვის, გავრცელების, ასევე ინფორმაციის მოპოვების და გამოსქვენების უფლებას. ჟურნალისტი ამ უფლებათა რეალიზების ძირითადი ინსტრუმენტი. მასმედიის ნებისმიერმა წარმომადგენელმა უნდა გააცნობიეროს საზოგადოების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა - დაიცვას საზოგადოების უფლება, იცოდეს სიმართლე. ჟურნალისტმა პროფესიული მოვალეობანი პატიოსნად და კეთილსინდისიერად უნდა განასორციელოს.

*ლონდა საბანიძე*

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი*

*ჟურნალისტიკა*

*ბაკალავრიატი, I დონე*

თანამედროვე ქართული მედიის ეთიკური პრინციპების ხარისხი

ხელმძღვანელი პროფესორი **დიანა ტყეშელაშვილი**

1. ჟურნალისტი უნდა უფრო ხილდებოდეს, როგორც საკუთარ ასევე რესპოდენტის რეპუტაციას, რაც ზოგჯერ სენსაციურობის სასარგებლოდ უგულვებელყოფილია.
2. თანამედროვე ქართული გაზეთების დიდი ნაწილი წარმოადგენს მხარეს და მისი მთავარი დევიზი „მოწინააღმდეგის“ დამარცხებაა. დემოკრატიული ქვეყნის თავისუფალი მედიის მიზანი კი სიმართლის მოძიება და თქმა უნდა იყო.
3. გაზეთებს „ასავალ-დასავალსა“ და „ალიას“ ხშირად აკლიათ თვითცენზურა. ვფიქრობთ, არამართებულად აქვთ გაგებულნი სიტყვის თავისუფლების ცნება, რაც არცერთ შემთხვევაში

არ გულისხმობს სხვისი თავისუფლების, სხვისი პიროვნების ღირსების შელახვას.

4. ზოგჯერ ნეგატიური შინაარსის ინფორმაცია იმდენად დამორგუნველია, რომ აუცილებელია ჟურნალისტმა დიდი სიფრთხილით შეარჩიოს სიტყვები და ისე მიაწოდოს ამბავი აუდიტორიას, გაუფრთხილდეს მის ფსიქიკას და იზრუნოს მასზე. არცთუ იშვიათად ჩვენი ჟურნალისტები პირიქით, ცდილობენ მედიამომხმარებლის აფორიაქებით, ზოგჯერ ტრავმირებითაც იოლი პოპულარობის მოპოვებას.
5. ჟურნალ-გაზეთების მიერ ეთიკის ნორმების უგულებელყოფის ერთერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოების დიდი ნაწილის ინდეფერენტულობა ამ საკითხის მიმართ, მაგრამ ეს ჟურნალისტს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს.

*ქეთევან ებიტაშვილი  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ჟურნალისტიკა  
ბაკალავრიატი, I დონე*

შპრნალისტის ათი მცნება და შპილნი უპატიეპულნი  
ცოლვანი ქართველ შპრნალისტთა არსენალში

ხელმძღვანელი პროფესორი **დიანა ტყეშელაშვილი**

1. ქართულ მედიაში ხშირია ფაქტების დამახინჯება. ერთსადაიმთავრად ინფორმაციას „რუსთავი 2“, „კვირის პალიტრა“ და სხვა საინფორმაციო წყაროები განსხვავებულ ვარიანტებად გვაწვდიან. მკითხველი, მაყურებელი, მსმენელი იბნევა, აღარ იცის ვის ენდოს, ვისი ირწმუნოს.
2. ჟურნალისტის მთავარი ღირსება პატიოსნებისა და პირუთვნელობის გამოვლენაა. ასეთი ჟურნალისტები თანამედროვე მედიასივრცეშიც არიან, მიუხედავად „საბაზრო ეკონომიკის“ მკაცრი ზეგავლენისა.
3. ხშირ შემთხვევაში ქართულ მედიასივრცეში ჟურნალისტის „შვიდი უპატიებელი ცოდვის“ ნიმუშებსაც ვპოულობთ, რაც,

ბუნებრივია, აკნინებს პროფესიის იმიჯს.

4. ჟურნალისტის „ათი მცნების“ თანახმად, არაეთიკურია ჟურნალისტისგან ვინმეს პირად ცხოვრებაში ჩარევა, რესპოდენტის გრძნობებზე საუბარი. თანამედროვე ხშირად არად დაგიდევთ ამ ეთიკურ ნორმას.
5. ბევრ ქართველ ჟურნალისტს ახასიათებს შეუპოვრობა სიმართლის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჟურნალისტები იგივე ჯარისკაცები იყვნენ, სიცოცხლის ფასად გვაწვდიდნენ ახალ ინფორმაციას.

*თამარ ქარდავა  
კრივალ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ტელე-რადიოჟურნალისტიკა  
ბაკალავრიატი, IV დონე*

## ნაწიცი მსაჯულთა სასამართლო

ხელმძღვანელი პროფესორი **თეიმურაზ ფაფერაშვილი**

1. ნაწიცი მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ დისკუსია მას შემდეგ დაიწყო რაც „ნაციონალური მოძრაობა“ წამყვან ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბდა. მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ამ ინსტიტუტის შემოღება განხილვის საგნად დარჩა. იდეის მხარდამჭერთა მტკიცებით, სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის აღსადგენად ეს ყველაზე სწრაფი და ეფექტური გზაა.
2. ნაწიცი მსაჯულთა სასამართლო, როგორც თვითმყოფადი, თვითკმარი ინსტიტუცია გვაქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ერთმანეთისგან იურისდიქციულად და ფუნქციურად ავტონომიური ორი ნაწილისგან შემდგარი სასამართლო წარმონაქმნი.
3. ვერდიქტის გამოტანის პროცედურა სხვადასხვანაირია, ზოგიერთ ქვეყანაში ის ნაწიცი მსაჯულთა ერთსულოვან გადაწყვეტილებას მითხოვს. ასევე უმნიშვნელოვანესია მსაჯულთა თათბირის საიდუმლოების დაცვა. „სათათბირო თათბირის საიდუმლოების“ დაცვის მიზნით, სასამართლო პროცესის განმავ-

ლობაში ხდება მსაჯულთა სრული იზოლაცია.

4. რაც შეეხება კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას, ცარისტულმა ხელისუფლებამ ღონისძიებების გატარება დაიწყო XIX-ის დამლევეს. თუმცა მეფის რუსეთის მმართველებს ეს სისტემა არც ამიერკავკასიაში, მათ შორის არც საქართველოში არ დაუნერგავთ.
5. ქართული პროექტის ინიციატორები ფიქრობენ, რომ მრავალი რისკ-ფაქტორის მიუხედავად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ჩვენთანაც მართმსაჯულების დემოკრატიზაციას შეუწყობს ხელს. თუმცა რამდენად არის მზად საზოგადოება ამის მისაღებად ეს ჯერ კიდევ სადაო საკითხია.

*თეგლე კუჭუხიძე  
კრივალ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ტეგლე-რადიოჟურნალისტიკა  
ბაკალავრიატი, II დონე*

ინტერნეტი, სოციალური ქსელები, ვიკილიქსი

ხელმძღვანელი პროფესორი **თეიმურაზ ფაფერაშვილი**

1. ინტერნეტი გლობალური ინფორმაციული სივრცეა, რომელშიც მიმდინარეობს მონაცემების უწყვეტი ცირკულაცია. მასში ინფორმაცია ინახება ქსელის კვანძების შემადგენელ კომპიუტერებს შორის. კომპიუტერების საშუალებით ინფორმაციის მიღება-გადაცემის იდეა XX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში წარმოიშვა. ინტერნეტი კი, როგორც დამოუკიდებელი, დეცენტრალიზებული იერარქიული სტრუქტურის ცნება, დომენური სახელების სისტემის ამუშავების შემდეგ გახდა.
2. ტერმინ სოციალური ქსელის წარმოშობას საფუძველი უდევს XX საუკუნის ოცდაათიან წლებში, სროდესაც ამერიკელი სოციოლოგები სწავლობდნენ ადამიანთა ურთიერთობას სოციუმში. ტერმინმა რეალობიდან ვირტუალურ სამყაროშიც გადაინაცვლა და დღეს სოციალურ ქსელებს უმნიშვნელოვანეს ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში.

3. „ვიკილიქსი” საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც აქვეყნებს ანონიმური წყაროებიდან მოპოვებულ, ჩვეულებრივ ხელმოუწვდომელ დოკუმენტებს. ჯულიან ასანუმს მის შექმნამდეც აინტერესებდა სხვისი დამალული დოკუმენტები და მიიჩნევდა, რომ საიდუმლო სახელმწიფო ინფორმაცია უნდა ჟონავდეს. მისი ჰაკერული ნიჭის გამო იგი ხშირად ხდებოდა გამოძიებელთათვის საინტერესო „საგანი”.

*ირინე მერაბიშვილი  
კრივალ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ტელე-რადიოჟურნალისტიკა  
ბაკალავრიატი, II დონე*

თენგიზ აბულაძის ზემოზროვი და შემოქმედებითი კრედიტო

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **სათუნა კაჭარავა**

1. თენგიზ ევგენის ძე აბულაძე დაიბადა 1924 წლის 31 იანვარს. 1943-46წწ. რეჟისორ რეზო ჩხეიძესთან ერთად სწავლობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე. 1953წ. დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. რეზო ჩხეიძესთან ერთად გადაიღო მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა.”(1955წ.) ფილმით „მონანიება” თენგიზ აბულაძემ დაასრულა ტრილოგია, რომლის პირველი ორი ნაწილი „ვედრება” და „ნატვრის ხე” იყო.
2. სიკეთისა და ბოროტების ჭიდილი. პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება, ტოტალიტარიზმი. სწორედ, რომ ტოტალიტარული წესრიგისთვის ბრძოლა კლავს პიროვნებას და სიცოცხლესაც, ამიტომ ზნეობრივი პიროვნებები ტოტალიტარულ სისტემაში „უდანაშაულო დამნაშავენი” ხდებიან, ისინი თავიანთ მრწამსს არ დაღატოებენ და იღუპებიან. სოციალურად სახედაკარგული საზოგადოების დუმილით და თანხმობით ბოროტება ზენიტშია ასული.
3. ტრილოგია – „ვედრებიდან მონანიებამდე”. რეჟისორის ინდივიდუალური ხელწერა, განსაკუთრებული პოეტური გამომსახველობა და თხრობის ფილოსოფიური სტილი გამოჩნდა ვაჟა-



ფშაველას ნაწარმოებთა მიხედვით გადაღებულ „ვედრებაში“. „ნატვრის ხე“ გიორგი ლეონიძის წიგნის მიხედვით შეიქმნა. ერთმა სოფელმა მთელი სამყარო დაიტია, აქ ყველა პერსონაჟს თავისი სიმართლე ამოძრავებს, რომელსაც მათი არასაკმარისი ცოდნისა და რწმენის გამო ქვეყანა დაღუპვის გზაზე მიყავს. მიზეზი კი პირად გრძობებზე მიჯაჭვულობაა. „მონანიება“ ეს არის დამავვირგვინებელი ტრილოგიისა. სამივე ფილმის ძირითადი ამოცანა სიკეთისა და ბოროტების ჭიდილია, ზოგადსაკაცობრიო პრობლემის მხატვრულ-ვიზუალური წარმონეხა და ეკრანული გახსნა.

### *ზვიად ბარქაია*

*ივ. ჭავჭავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პოლიტიკური მეცნიერებები  
ბაკალავრიატი, IV დონე*

## პოსტმოდერნი ხელოვნებაში

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ხათუნა კაჭარავა**

1. პოსტმოდერნი ( ლათ. modernus „თანამედროვე“ post „შემდეგი“) XX საუკუნის ბოლოს ფილოსოფიასა და კულტურაში აღმოცენებული მიმდინარეობა. პოსტმოდერნიზმი თავიდან არქიტექტურულ მიმდინარეობას ეწოდებოდა, რომელმაც უარი თქვა მოდერნიზმის პირობითობებზე და ახალი ფორმების ძიება დაიწყო. შემდგომში ტერმინი გამოყენებული იქნა ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში უფრო ზოგადი მიმდინარეობის აღსანიშნავად. თუკი მოდერნიზმი ახალი ფორმების შექმნით ხასიათდება, პოსტმოდერნიზმი არსებული ფორმების ხელახლა გამოყენებაზე ორიენტირებული. ამ ფორმების, ციტირებისა თუ სტილისტური დეტალების გამოყენება შეიძლება იყოს, როგორც სერიოზული, ასევე ირონიულიც. პოსტმოდერნიზმი შლის იერარქიას ელიტარულ და პოპულარულ კულტურას შორის.

2. პოსტმოდერნის ჩამოყალიბების სტადიები – 1917 წელი – პოსტმოდერნი, როგორც მწვერვალი ზეკაცობისა. 1937 წელი – პოსტმოდერნი, როგორც კავშირი მოდერნსა და ულტრამოდერნს შორის. 1947 წელი – პოსტმოდერნი, როგორც გლობალიზაციის პიკისკენ სვლა. პოსტმოდერნის განვითარება, პრინციპები და

მისი გავლენა XX და XXI საუკუნეზე.

3. პოსტმოდერნული ხელოვნება უკვე აღარ ასახავს არც ემპირიულ და არც ტრანსცენდენტურ რეალობას, როგორც ამას აკეობდა მოდერნიზმი. პოსტმოდერნული ხელოვნება ყველა ფორმასა და იდეას იღებს, ოღონდ ისე, რომ აღარაფრის სჯერა. პოსტმოდერნის გავლენა თანამედროვე არქიტექტურაზე, მხატვრობაზე, ქანდაკებაზე, ქორეოგრაფიასა და საზოგადოებაზე.

*გიორგი კარანაძე  
კრივალ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ტელე-რადიოჟურნალისტიკა  
ბაკალავრიატი, IV დონე*

რა არის Pop Art? და მისი ბავშვანა  
თანამედროვე ხელოვნებაზე

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ხათუნა კაჭარავა**

1. საიდან იწყება Pop Art და რატომ გახდა აუცილებელი მსგავსი ჟანრის მოფიქრება; ის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელშიც მოღვაწეობდნენ იმ დროის არტისტები. რა ხდებოდა ამერიკის კულტურაში მანამდე და რა წინაპირობა ჰქონდა ამ ჟანრს, რომ შექმნილიყო.
2. ვინ იყვნენ ამ ჟანრის წარმომადგენლები? Andy Warhol-ის ფენომენი და მისი გავლენა Pop Art-ის განვითარებაში; უნივერსალური არტისტის შემოქმედება და „ფაბრიკის“ მნიშვნელობა ამერიკული კულტურის ჩამოყალიბებაში; რატომ გახდა მსგავსი ფილმების გადაღების აუცილებლობა და რას ნიშნავს პლაკატური ხელოვნება.
3. Pop Art-ი ხელოვნების სხვა ჟანრებში; როგორ (რატომ) შეიძლება მომეწონოს ეს ყველაფერი. რა გარდატეხა შეიტანა მან მუსიკის და კინოს ინდუსტრიაში, ვინ იყვნენ ის არტისტები, რომლებიც დღემდე აგრძელებენ ამ ჟანრებში მოღვაწეობას; როგორ შეიძლება გახდეს ადამიანი ცნობილი 15 წუთის განმავლობაში.
4. Pop Art-ის მემკვიდრეობა: რა აიღო თანამედროვე ხელოვნებამ მისგან, როგორ შეიცვალა მიდგომა ხელოვნების ნიმუშების მი-

მართ. რა საგამოყენო კულტურა დაინერგა 60-იანი წლების შემდეგ და ის ტენდენციები, რომელიც დაამკვიდრეს იმ პერიოდის არტისტებმა.

## სამართალმცოდნეობის სექცია

*ხატია გურგენაშვილი*  
*კრივულ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*სამართალმცოდნეობა*  
*ბაკალავრიატი, II დონე*

ომბუდსმენის ადგილი და როლი საზოგადოებაში

ხელმძღვანელი პროფესორი მანანა მოსულიშვილი

1. აღნიშნული თემა ეხება ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორცაა სახალხო დამცველი. თემაში გაშუქებულია სახალხო დამცველის ჩამოყალიბების ისტორიული ასპექტები, მისი არსებობის აუცილებლობის მიზეზები, სახალხო დამცველის დანიშვნის წესი და უფლებამოსილება, აგრეთვე ომბუდსმენის როლი და ადგილი საზოგადოებაში. დასკვნაში ავტორი გთავაზობს მისეულ შეხედულებებს და იძლევა საინტერესო წინადადებებს.

*მარი მოსიაშვილი*  
*კრივულ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*სამართალმცოდნეობა*  
*ბაკალავრიატი, II დონე*

სიცოცხლის უფლება

ხელმძღვანელი პროფესორი მანანა მოსულიშვილი

1. სიცოცხლის უფლება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე წარმოადგენს ძირითად უფლებას, რომელზეც დამოკიდებულია ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების არსებობა და განხორციელება. განსხვავებით რიგი სხვა უფლებისგან, რომლის შეზღუდვაც შესაძლებელია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. გამახვილებულია ყურადღება სიცოცხლის უფლების შეზღუდვის დაუშვებლობაზე საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს. ავტორი გადმოგვცემს საკუთარ მოსაზრებებს სიცოცხლის უფლების დაცვის გარანტიების შესახებ.

*ნათია ბერაძე*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*სამართალმცოდნეობა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

ადამიანის სიცოცხლის უფლების დარღვევა  
აბორტის ბზიი

ხელმძღვანელი პროფესორი მანანა მოსულიშვილი

1. ნაშრომში ავტორი მკვლევლობის მრავალ სახეთა შორის გამო-  
არჩევს და საუბრობს დედის მიერ დაუბადებელი (ჩასახული)  
ბავშვის (ემბრიონის) მკვლევლობაზე, რომელსაც სამედიცინო  
ენაზე აბორტი ეწოდება. ავტორი სვამს კითხვას, რა არის აბორ-  
ტი? როდის იწყება სიცოცხლე? რა არგუმენტები არსებობს  
აბორტის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ.
2. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი განიხილავს აბორტს, როგორც  
იურიდიული, ისე რელიგიური და სამედიცინო კუთხით.

*ნინო კიკალიშვილი*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*სამართალმცოდნეობა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

სიცოცხლის უფლება და სიკვდილით დასჯა

ხელმძღვანელი პროფესორი მანანა მოსულიშვილი

1. აღნიშნული თემა ეხება დღევანდელ სამყაროში ყველაზე ღირე-  
ბულ ფასეულობას - ადამიანის უფლებებისა და თავისუფლე-  
ბების დაცვას და განხილულია სასჯელის განსაკუთრებული  
ზომა – სიკვდილით დასჯა. საქართველოს 1921 წლის კონსტი-  
ტუციით გაუქმებული იქნა სიკვდილით დასჯა, მაგრამ მუხლი  
საბოლოოდ ამოღებული იქნა 1997 წლის 11 ნოემბერს. ნაშრომი  
ასევე ეხება ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას  
და მოყვანილია რიგი კონვენციებისა და ხელშეკრულებებისა,  
რომლებიც რატიფიცირებულია და აღიარებენ წამებისა და არა-  
ადამიანური მოპყრობის აკრძალვას და ასეთი ფაქტების არსე-

ბობის შემთხვევაში, მათ დასჯას.

2. სიცოცხლის უფლება დამცავი უფლებაა და მნიშვნელოვანია რამდენად რეალურად ხორციელდება და რამდენად განუხრელად არის დაცული ადამიანის უფლებები, ასევე აღსანიშნავია, რომ სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელი ჯერ კიდევ მოქმედებს რიგ ქვეყნებში, თუმცა სადაც ეს მუხლი მოქმედებს კონკრეტულად განსაზღვრულია ის პირობები, რომელთა არსებობა აუცილებელია ასეთი მკაცრი ზომის მიღებისთვის, მაგრამ მიზანი თითქოს მიღწეულია - ამ ყველაფერს აწესრიგებს კანონი.

*მგდა ქამხაძე  
კრივალ რობაქიძის უნივერსიტეტი  
სამართალმცოდნეობა  
ბაკალავრიატი, IV დონე*

#### სიცოცხლის უფლების ხელყოფა

ხელმძღვანელი პროფესორი **მანანა მოსულიშვილი**

1. აღნიშნული ნაშრომი ეხება კონსტიტუციით დაცულ ადამიანისათვის ყველაზე ღირებულ და მნიშვნელოვან უფლებას – სიცოცხლეს.
2. თემაში გადმოცემულია ისეთი პრობლემური საკითხები, როგორცაა ევთანაზია და აბორტი. ეს ორი საკითხი განხილულია რელიგიური, სამართლებრივი და სამედიცინო კუთხით.
3. დაინტერესება ზემოხსენებული საკითხების ირგვლივ გამოწვეულია აზრთა პლურალიზმით.
4. თემის დასასრულს მოცემულია ავტორისეული მოსაზრება ევთანაზიის, აბორტის და სიკვდილით დასჯის პრობლემების გადაჭრის საკითხებზე.

*რუსუდან მეფარიშვილი*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*სამართალმცოდნეობა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

**უდანაშაულობის პრეზუმფცია**

**ხელმძღვანელი პროფესორი მანანა მოსულიშვილი**

1. ნაშრომში განხილულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული პრინციპი უდანაშაულობის პრეზუმფცია. რომელმაც სამართალში დამკვიდრებამდე გაიარა ხანგრძლივი და გრძელი გზა.
2. უდანაშაულობის პრეზუმფცია იმდენად მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ მასზე საუბარია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხელში. ნაშრომში განხილულია ამ მუხლის მოთხოვნები და დეტალურადაა საუბარი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნებზე. ავტორი იძლევა საკუთარ მოსაზრებებს ამ პრინციპის დარღვევებთან დაკავშირებით

*ნინო ქავთარაძე*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*სამართალმცოდნეობა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

**რეჟიმენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობის  
მიღების უფლება**

**ხელმძღვანელი პროფესორი მანანა მოსულიშვილი**

1. ნაშრომი ეხება საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე და ამ უფლების არმქონე პირებს, რომლებიც დამოკიდებულია ადამიანის სამ ძირითად უფლებაზე: ადამიანის უფლება თავისუფლად და უშუალოდ მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვაში, უფლება, შევიდეს სახელმწიფო სამსახურში, და რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი.

2. ავტორი იხილავს აღიარებულ საარჩევნო პრინციპებს, ხოლო დასკვნაში გვაწვდის საინტერესო მოსაზრებებს არჩევნების ჩატარების ვადებსა და მათში მონაწილე პარტიების თანაბარ მდგომარეობაში ყოფნაზე და სხვა საკითხებზე.

*ნინო იაშვილი  
კრივალ რობაქიძის უნივერსიტეტი  
სამართალმცოდნეობა  
ბაკალავრიატი, IV დონე*

სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა  
და რწმენის თავისუფლება

ხელმძღვანელი პროფესორი მანანა მოსულიშვილი

1. დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი ფასეულობა არის ადამიანის უფლებები და სწორედ კონსტიტუცია არის სახელმწიფოსა და პიროვნების შორის ურთიერთობის განმსაზღვრელი აქტი. სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებებსა და თავისუფლებებს შორის. ამ თავისუფლებებს ეძღვნება კონსტიტუციის მე-19 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. სიტყვის, აზრის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ადამიანის თავისუფლებას ყოველგვარი კონტროლისგან. ამ დროს ადამიანი თვითონ განსაზღვრავს თუ როგორ იფიქროს, ჰქონდეს საკუთარი აზრი და ა.შ. კონსტიტუცია დაუშვებლად მიიჩნევს ამ უფლების შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი გამოვლინება ღახავს სხვების უფლებებს.



*ანნა ვიორგაძე*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*სამართალმცოდნეობა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

**უცხოელთა უფლებები საქართველოში**

**ხელმძღვანელი პროფესორი მანანა მოსულიშვილი**

1. ნაშრომში განხილულია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში საზოგადოება მეტ-ნაკლებად დაყოფილია: მოქალაქეებად, უცხოელებად, მოქალაქეობის არმქონე პირებად ანუ ბიპადრიტებად, აპადრიტებად, ლტოლვილებად და იძულებით გადაადგილებულ პირებად.
2. მოცემულ ნაშრომში, ჩვენს მიერ გაშუქებული იქნება საზოგადოების სტრუქტურული შემადგენლობიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი – უცხოელები. კერძოდ კი, მათი უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში.
3. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს ტერიტორიაზე განისაზღვრება არა მხოლოდ საქართველოს მიმდინარე კანონებით, არამედ იგი უფრო მაღალ, კონსტიტუციურ დონეზე განიხილება. რასაც ადასტურებს საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლი.
4. გარდა კონსტიტუციის ხელთ აღნიშნული მუხლისა, უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას საქართველოში არეგულირებს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი – „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.
5. უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობის მარეგულირებელ ცალკეულ ნორმებს შეიცავს აგრეთვე საქართველოს სისხლისა და სამოქალაქო კანონმდებლობა. ძველ საქართველოში ნიშნობა ანუ საცოლის დაწინდვა. ასევე აღსანიშნავია თუ როგორ აკრძალა ქართულმა ეკლესიამ ნათესავთა შორის საქორწინო ურთიერთობა ანუ ინცესტი, რაც ქრისტიანობის დამყარებამდე, წარმართობის პერიოდში საქართველოში საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

*ლევან ეგიაზაროვი*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*სამართალმცოდნეობა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

ბანათლების კონსტიტუციური უფლება

ხელმძღვანელი პროფესორი **მანანა მოსულიშვილი**

1. ნაშრომში განხილულია საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლი. განსხვავებულია სოციალური უფლება თავის დაცვის უფლებისაგან. განხილულია შესაბამისი ნორმატიული აქტები, ჩამოყალიბებულია განათლების კონსტიტუციური უფლებისა და თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციური პრინციპების კავშირი.
2. დასკვნაში საუბარია სახელმწიფოს ვალდებულებებზე. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ზოგადსაგანდებელი სკოლების ფართო ქსელი, უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდა, მისი დაფინანსება და მატერიალური ბაზის შექმნა და ა.შ.

*ბესიკ ქვარცხავა*  
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*სამართალმცოდნეობა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი  
და საქართველოს  
ასპექტები – შედარებითი მიმოხილვა

ხელმძღვანელი პროფესორი **რამაზ კვარაცხელია**

1. ნაშრომი ეძღვნება 2010 წლის ოქტომბრიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამოქმედებულ რამდენიმე ნოვაციის (რეფორმის) სამართლებრივ დოქტრინულ ანალიზს. მასში განხილულია ახალი კოდექსის ძირითადი საკითხები, ასევე შედარებითი ანალიზი ძველ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან მიმართებაში. მიმოხილულია ახალი საპროცესო

კოდექსის უმნიშვნელოვანესი პროცესუალური საკითხები. ასევე, ნაშრომი შეეხება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს და შეჯიბრობითობის სისტემის ანალიზს, რომლის ძირითადი მიზანია გააცნოს მკითხველს სხვადასხვა ქვეყნებში დაგროვილი დოკტრინული და პრაქტიკული ღირებულებებისა და მნიშვნელობის ინფორმაცია, ასევე, ავტორისეული ხედვა.

2. ნაშრომის გაცნობის შემდგომ მკითხველს ექნება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა საპროცესო მეცნიერების ნოვაციურ ინსტიტუტებთან მიმართებაში, მის არსსა და ბუნებასთან და მრავალ სხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერების კომპლექსური შესწავლიდან და მისი შედარებითი სამართლებრივი ანალიზიდან.
3. სისხლის სამართლის საპროცესო რეფორმის შეფასება მოხდება მისი ეფექტურობის, გამჭვირვალობის და სამართლიანობის მიხედვით: იურისტების იუსტიციის სამინისტროს, უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ანგარიშების და სხვა ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე და განიხილება საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული გამოცდილების კონტექსტში. ბოლოს კი მოხდება ამ ქვეყნებსა და საქართველოში საპროცესო მეცნიერების შესახებ შედარებითი ანალიზი.
4. იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული ნაშრომი განაახლებს კამათს და ასევე იქნება საინტერესო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პრაქტიკოსი იურისტებისათვის და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

*გურამ კორკოტაშვილი*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*სამართალმცოდნეობა*  
*ბაკალავრიატი, I დონე*

ტრანსნაციონალური დანაშაული – ტრეფიკინგი

ხელმძღვანელი პროფესორი **გიორგი ღლონტი**

1. ტრეფიკინგის შესახებ საკითხებისა და მისი პრობლემების შესწავლა და გააზრება სამართალში მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა.
2. ნაშრომში განხილულია ტრეფიკინგის (ადამიანის ვაჭრობის) მოკლე ისტორიული ასპექტები, ტრეფიკინგის ცნება და მისი დამახასიათებელი ნიშნები, განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი თუ როგორი მდგომარეობაა ტრეფიკინგის ხაზით საქართველოში. დასკვნაში ავტორი გვთავაზობს საინტერესო მოსაზრებებს.

*ლიკა გრიშიაშვილი*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*სამართალმცოდნეობა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

სასჯელის აღსრულების სამართლებრივი რეგულირება

ხელმძღვანელი პროფესორი **პეტრე დაუთაშვილი**

1. წინამდებარე ნაშრომში განხილულია სასჯელის აღსრულების სამართლებრივი რეგულირების აქტუალური საკითხები არა მხოლოდ თანამედროვე ეტაპზე, არამედ ისტორიულ ჭრილშიც. თემის გახსნისათვის შედარებითი ანალიზის მეთოდით შესწავლილი და გაანალიზებული იქნა სასჯელის აღსრულების სამართლებრივად დარეგულირების პრაქტიკა შრომა-გასწორების, პატიმრობის კანონისა და პატიმრობის კოდექსის მიხედვით. გარდა ამისა, შესწავლილი იქნა მთელი რიგი ლიტერატურა და შესაბამისი ნორმატიული აქტები მიღებული ევროსაბჭოს მიერ, რომელთა ასახვაც მოხდა პატიმრობის კოდექსში, ყოველივემ

კი თვალნათლივ დაგვანახა მოქმედ კანონმდებლობაში ზოგიერთი ნორმის ხარვეზი, რომელთა გამოსწორებაც უკვე დაიწყო კანონმდებელმა.

*გიორგი კეკელიძე*

*ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სამართალმცოდნეობა  
ბაკალავრიატი, I დონე*

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ**

1. არასრულწლოვანთა დანაშაულს მრავალი ასპექტი განაპირობებს. მკვლევართა აზრით, ბავშვის დამნაშავედ ქცევაში ჩამოყალიბებაში დიდ როლს ენიჭება მოზარდსაც, ოჯახსაც, თემსაც, საზოგადოებასაც და სახელმწიფოსაც.
2. თემის მიზანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიულ ასპექტებზე და დღეს, ამ საკითხთან მიმართებაში, საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე ვისაუბროთ, დავეგვიმოთ პრობლემის პრევენციის გზები. თემა აქტუალურია, რადგან ახალგაზრდობა სახელმწიფოს ძლიერებაა. საკითხი, რომელიც მართლმსაჯულებას ეხება აქტუალური იყო და იქნება ყველა დროსა და ქვეყანაში.
3. უკანასკნელ ხანს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, საქართველოში მომზადდა მთელი რიგი კანონპროექტებისა, რომლებიც გამიზნულია არასრულწლოვან ეჭვმიტანილთა ბრალდებულთა „აცილებასზე“ (ე.წ. დივერსიონ) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროდან. დღეს, საქართველოში უკვე გადამზადდა ყველა ის მოსამართლე, რომელიც სისხლის სამართლის სფეროში მუშაობს, ყველა პროკურორი, რომელსაც შეეხება პქონდა ბავშვებთან, არასრულწლოვანთა საჭიროებებზე, თავისებურებებზე და ა. შ. გადამზადდა ყველა პროკურორი, ყველა მოსამართლე. აგრეთვე პრობაციისა და პენიტენციურ სფეროშიც გადამზადდა კადრები. ბავშვთა კონვენციის მიხედვით, ბავშვისთვის შექმნილი უნდა იყოს კეთილგანწყობილი გარემო, არა აქვს მნიშვნელობა დააშავა რამე თუ არა. ბავშვისთვის აუცილებელია იმ გარემოს შექმნა, რომელიც მის ფსიქიკურ თუ ფიზიკურ მოთხოვნებს შეესაბამება. დღეს,

არასრულწლოვნებთან მიმართებით, კანონმდებლობა უფრო ლიბერალური ხდება საქართველოში 2010 წლის ნოემბრიდან არასრულწლოვანებს უკვე აღარ ასამართლებენ, თუ მან დანაშაული პირველად ჩაიდინა, დანაშაული აღიარა და დაზარალებულს ბოდიში მოუხადა. საპყრობილის ნაცვლად,ის დაზარალებულის სასარგებლოდ გარკვეულ ქმედებას შეასრულებს. არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის დანაშაულის გამოსყიდვის, იგივე „განრიდებისა და მედიაციის“ პროგრამა საქართველოში უკვე ამოქმედდა. საჭიროა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის გატარების შემდეგ მართლმსაჯულების დამოკიდებულება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ კარდინალურად უნდა შეიცვალოს. უნდა შეიცვალოს სისტემაც, რომელიც დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ცვლილებები უკვე განხორციელდა, მაინც დასჯაზეა ორიენტირებული. რეფორმის გატარებაში საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, ყველაზე მეტად კი გაეროს ბავშვთა ფონდი და ევროკავშირი ეხმარება. მიუხედავად ამისა, ბევრი და რთულად გადასატრელი პრობლემაა დაგროვილი. საჭიროა დაინერგოს რეაბილიტაციაზე ორიენტირებული მიდგომა, რასაც ბავშვთა უფლებების კონვენციაც მოითხოვს.

*ქეთევან ბაუჟაძე  
კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
სამართალმცოდნეობა  
ბაკალავრიატი, IV დონე*

ქორწინების სამართლებრივი რეგულირება

ხელმძღვანელი პროფესორი მანანა მოსულიშვილი

1. აღნიშნულ ნაშრომში ავტორს განხილული აქვს დღეისათვის ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური უფლება – ქორწინების უფლება. რა არის დაქორწინებისთვის აუცილებელი წინაპირობა, როდის და სად ფორმდება ქორწინება, როგორ ხდება ქორწინების რეგისტრაცია, როგორია უცხოელთა საქართველოში დაქორწინების წესი, რა არის ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, როგორ ხდება ხელშეორედ ქორწინება და როდის წყდება იგი - ეს და კიდევ ბევრი სხვა საინტერესო საკითხია

განხილული აღნიშნულ თემაში.

2. ავტორი საუბრობს ასევე ძველისძველ ჩვეულებასზე - თუ როგორ ხდებოდა ძველ საქართველოში ნიშნობა ანუ საცოლის დაწინდვა. ასევე აღსანიშნავია თუ როგორ აკრძალა ქართულმა ეკლესიამ ნათესავთა შორის საქორწინო ურთიერთობა ანუ ინცესტი, რაც ქრისტიანობის დამყარებამდე, წარმართობის პერიოდში საქართველოში საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

*ალკაზ ძაძუა  
კრივალ რობაქიძის უნივერსიტეტი  
სამართალმცოდნეობა  
ბაკალავრიატი, III დონე*

## ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები

### ხელმძღვანელი პროფესორი პეტრე დაუთაშიანი

1. თემაში საუბარია ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებებზე, მათ მდგომარეობაზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, აგრეთვე სასჯელადსრულების დეპარტამენტის მიერ გატარებულ რეფორმებზე, ამ რეფორმების დადებით და უარყოფით მხარეებზე. ზოგადად განხილულია ის საკითხები, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველოს პენიტენციური სისტემა დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. დასკვნაში ავტორი იძლევა საკუთარ მოსაზრებებს.

## ეკონომიკისა და ბიზნესის სექცია

*ია დარჩია*

*კრივულ რობაქიძის უნივერსიტეტი  
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე  
ბაკალავრიატი, II დონე*

### თავისუფალი ვაჭრობა და სავაჭრო ბარიერები მეორეკლასში

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ვასილ კიკუტაძე**

1. თავისუფალი ვაჭრობა არის ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების შეუზღუდავი მიმოსვლა. იგი არ შემოიფარგლება სხვადასხვა ბარიერით, როგორცაა იმპორტზე ტარიფი და კვოტა. მის მთავარ იდეას კი ეკონომიკური ლიბერალიზმი გამოხატავს. თავისუფალი ვაჭრობის დროს ქვეყანა ძირითადად იმ პროდუქციას აწარმოებს, რის წარმოებაშიც იგი ფარდობით უპირატესობას ფლობს.
2. პროდუქტის მეტი წარმოება და სავაჭრო პარტნიორებთან სხვა პროდუქციაზე გაცვლა იწვევს იმას, რომ სახელმწიფო უფრო მეტ პროდუქციას მოიხმარს, ვიდრე ყველა პოდუქტის საკუთარი ძალებით წარმოების შემთხვევაში მოიხმარდა. საგარეო ვაჭრობის თეორიების უმეტესობა მიდის იმ დასკვნამდე, რომ თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნის კეთილდღეობას ამაღლებს, თუმცა მედალს ორი მხარე აქვს დადებითი და უარყოფითი.
3. თავისუფალი ვაჭრობის დაწყება ვეროკავშირთან საქართველოს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სიკეთესაც მოუტანს. ამ ხელშეკრულების დადებით საქართველო კავშირის ქვეყნების ნდობის გარდა, სხვა ქვეყნების ნდობასაც მოიპოვებს. ეს ხელშეკრულება იმოქმედებს ქვეყნის კანონმდებლობის და სტრუქტურების ვეროკავშირთან მიხედვებაზე, შესაბამისად, არასატარიფო ბარიერების გადალახვა უფრო ადვილი გახდება, ხოლო არასატარიფო ბარიერების გადაულახავად ვერ მოხდება ვეროკავშირთან ექსპორტი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ქვეყანა ისურვებდა.



4. 2009 წელს ევროკავშირმა საქართველოს თავისუფალ ვაჭრობაზე ხელშეკრულების გაფორმებამდე 4 სფეროს გაუმჯობესება მოსთხოვა. ეს სფეროებია: ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები, სურსათის უვნებლობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და კონკურენცია. ევროკომისიის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველო დადებს ხელშეკრულებას ევროკავშირთან, თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებით, თუმცა ექსპერტები ამბობენ, რომ ეს ხელშეკრულება საქართველოს ეკონომიკურად უფრო დიდ ზარალს მოუტანს ვიდრე შესაძლებელია.

*მარიანა პიჯიანი, მარიამ ხუტუაშვილი  
ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საბანკო, საფინანსო და სადაზღვევო საქმე  
ბაკალავრიატი, III დონე*

უპროფ. დოქტორი, რეპროდუქციონის  
პროფესორი ინტერნეტის ბაზრების  
თეორიის საცდელი კატეგორიის ქსელში

ხელმძღვანელი პროფესორი **ბადრი რამიშვილი**

1. ნეორეალისტული მარკეტინგის ერთ-ერთი თანამედროვე მიმართულებაა და ის ადამიანის ქვეცნობიერზე კომერციული მიზნით ზემოქმედებას გულისხმობს. მისი აქტუალობა ორმა ტრენდმა განაპირობა – პირველია მომხმარებლისათვის ძალიან დიდი მოცულობის კომერციული ინფორმაციის მიწოდება, რომლის აღქმაც ტრადიციული სენსორული საშუალებებით შეუძლებელია. შექმნილი პრობლემის გადასაწყვეტად დასავლეთის ქვეყნებში მარკეტოლოგებმა დაიწყეს მომხმარებლის ქვეცნობიერზე ზემოქმედების გზით კომერციული მიზნების მიღწევის შესაძლებლობების შესწავლა. ამ მხრივ არსებობს რამდენიმე ფორმა, მაგალითად, ადამიანის ყნოსვით ორგანოზე ზემოქმედება, მუსიკით ზემოქმედება, აუდიოალური და/ან ვიზუალური ზემოქმედება ადამიანის ქვეცნობიერზე (მაგ. 25-კადრის ეფექტი, ნეიროლინგვისტური პროგრამირება და ა.შ.), ქიმიური საშუალებებით ზემოქმედება. ერთ-ერთი ეფექტიანი მათ შორის არის ფერთა დიზაინის გამოყენება მარკეტინგული მიზნებით, რადგან როგორც აღმოჩნდა ფერთა შერჩევას და შეხამებას ძლიერი

ზემოქმედება გააჩნია ადამიანის ფსიქოლოგიაზე. მეორე ტრენ-დი რამაც განაპირობა ნეირომარკეტინგის მნიშვნელობის ზრდა არის სხვადასხვა ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სახის რთული გამოკვლევის ჩატარება (მაგალითად, ადამიანის ტვინის კვლევა) ნეირომარკეტინგის მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება.

2. სხვადასხვა სახის ფერს ადამიანის ქვეცნობიერზე არსებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ფერთა შეხამებით და შერჩევით შესაძლებელია მისი მნიშვნელოვანი მანიპულირება. სადღეისოდ ბევრი ქვეყნის მარკეტოლოგები ფართოდ იყენებენ ამ ფენომენს, როგორც მარკეტინგული კომუნიკაციების, ასევე სავაჭრო ობიექტების დიზაინის კუთხით.
3. მერჩანდაიზინგი, ისევე როგორც ნეირომარკეტინგი თანამედროვე საქმიანობაა. მისი გავრცელების მთავარი მიზეზი დასავლეთის და სხვა განვითარებულ ქვეყნებში შრომითი რესურსების სიძვირეა და ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ საცალო ვაჭრობის ობიექტში პერსონალის მინიმალური ჩარევის ფონზე მოხდეს კლიენტის მაქსიმალური მომსახურება. მერჩანდაიზინგის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია სავაჭრო ფართის დიზაინი, რაშიც ცხადია რომ ფერების სწორ შერჩევას და შეხამებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.
4. საქართველოში ნეირომარკეტინგის გამოყენება ახლა იდგამს ფეხს და მის ფორმებს შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია ფერთა დიზაინი. ჩვენი კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს თუ როგორია ამ მხრივ მდგომარეობა მარკეტინგული კომუნიკაციების სხვადასხვა ფორმის დროს, მაგრამ მერჩანდაიზინგში მისი ნიშნები აშკარად შეინიშნება და ეს განსაკუთრებით ეხება თბილისის საცალო ვაჭრობის ქსელს.

*მარიამ შენგელია*  
*კრივულ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე*  
*ბაკალავრიატი, II დონე*

საქართველოს კონიაკის ბაზრის მარკეტინგული კვლევა

ხელმძღვანელი პროფესორი **მურთაზ კვიციანი**

1. კვლევის ტექნოლოგიური მახასიათებლები, კვლევის მიზანი, კვლევის ამოცანები, კვლევის ობიექტი, მონაცემთა შეგროვების მეთოდი, კვლევის ინფორმაციული ბაზა.

კვლევის ობიექტია საქართველოს კონიაკის ბაზარი.

კვლევის მიზანია:

- საქართველოს ალკოჰოლური ბაზრის მიმოხილვა. კონკრეტულად კი კონიაკის წარმოება და ამ ბაზრის სრულად შესწავლა.
- რეკომენდაციების შემუშავება მწარმოებლებისთვის, შიდა და გარე ბაზარზე კონკურენციის ასამაღლებლად.

კვლევის ამოცანები:

- კონიაკის მოხმარების მიზეზებისა და ტიპური სიტუაციების გამოვლენა
- კონიაკის უპირატესობებისა და ნაკლავანებების იდენტიფიცირება
- კონიაკის შერჩევის კრიტერიუმების დადგენა

2. კონიაკის ბაზარი, კონიაკის მოხმარების სიტუაციები, კონიაკის შერჩევის კრიტერიუმები, კონიაკის როგორც სასმელის იმიჯი, ასევე ალკოჰოლური სასმელების სორტირებს და წამყვანი ალკოჰოლური სასმელები მსოფლიოში.

კონიაკის ბაზრის მოცულობა საქართველოში, იმპორტისა და ექსპორტის მონაცემები.

რეკომენდაციების შემუშავება მწარმოებლებისთვის, შიდა და გარე ბაზარზე კონკურენციის ასამაღლებლად.

3. კონიაკის ბრენდები საქართველოში. თითოეული მათგანის ბაზრის წილი. ყურადღება გამახვილებულია საუკეთესოზე კონიაკის ბრენდზე “ს/ს სარაჯიშვილზე”, წარმოდგენილია ამ ბრენდის SWAT ანალიზი და მისი იმიჯი.

(გამოყენებულია ოფიციალური მონაცემები, სტატისტიკური შედეგები მიღებული ფოკუს ჯგუფის და კითხვარების მეშვეობით).

*ელენე კვაჭაძე*  
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*საბანკო-საფინანსო საქმე*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

საქართველოს საღაზღვპო ბაზრის  
ბანკოთარმბის თაზისეპზრეპეპო

ხელმძღვანელი მედეა ზურაბიშვილი

1. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის აღმასვლისთვის, მისი გლობალიზაციის პროცესში ჩართვისთვის, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მდგრადობისთვის აუცილებელი პირობაა სხვადასხვა ფინანსური დაწესებულებების და მთლიანად ფინანსური სისტემის სწორი ფორმირება, მათი გამართული მუშაობა. საფინანსო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც თავისი დატვირთვიდან გამომდინარე უფრო და უფრო მეტ აქტიუალურობას იძენს, არის სადაზღვევო სფერო.
2. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო საქმიანობის განვითარება, სამეურნეო სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ვადლებულებებისა თუ მთლიანად საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა საჭიროებს საიმედო საგარანტიო სისტემას, რომლის შეთავაზება შეუძლია თანამედროვე სადაზღვევო კომპანიებს, როგორც ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველმყოფ მნიშვნელოვან ინსტიტუტს.

3. სადაზღვევო ბაზრების ფორმირებას საქართველოში თან ახლავს გარკვეული წინააღმდეგობები. მის განვითარებას აფერხებს მძიმე სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობა, შემოსავლებისა და დანახოების სიმცირე, ასევე ის მთელი რიგი პრობლემებისა, რომელიც ჩვენს ხალხს, სამწუხაროდ, არ აძლევს მსგავსი „ფუფუნებით“ სარგებლობის შესაძლებლობას. თუმცა სადაზღვევო პროდუქტებით საზოგადოების დაინტერესების და სადაზღვევო კომპანიების კაპიტალიზაციის დონის მნიშვნელოვანი ზრდა მიუთითებს საქართველოში ამ სისტემის თანდათანობით განვითარებაზე.
4. ქვეყნის ეკონომიკისთვის ასევე უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ისეთ საფინანსო ჯგუფებს, როგორც არის საბანკო და სადაზღვევო პოლინგები. საქართველოში ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ერთიან საფინანსო ჯგუფებად ჩამოყალიბების პროცესი ახალი დაწყებულია – ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ს.ს „საქართველოს ბანკი“-სა და სადაზღვევო კომპანია „აღდაგი ბისიაი“-ს გაერთიანება. ჩვენი კვლევის მიზანია გავარკვიოთ რამდენად სასარგებლოა პოლინგების არსებობა მომხმარებლისათვის. როგორ ხდება პოლინგების მეშვეობით რისკების დაზღვევა და ასევე რა მექანიზმით აზღვევენ რისკებს ის ბანკები, რომლებიც არ არიან სადაზღვევო კომპანიებთან გაერთიანებულნი.
5. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მთავრობებს უბიძგა გაეძლიერებინა საფინანსო სფეროს რეგულირება. ამ მიმართულებით საქართველოშიც განხორციელდა რიგი ცვლილებები. 2009 წლიდან სადაზღვევო ბაზარზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. სებ-ის მიზანია სადაზღვევო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა კონკურენტუნარიანობისა და სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, სადაზღვევო საქმიანობის გამჭვირვალობის და საიმედოობის უზრუნველყოფა.
6. დაზღვევის სფეროში მიმდინარე პროცესების შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დროის საკმაოდ მოკლე პერიოდში საქართველოში შეიქმნა დაზღვევის მარეგულირებელი ის საკმაოდ აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა, რომლის არსებობის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სადაზღვევო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება.

7. სადაზღვევო ბაზრის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოში სადაზღვევო ბაზარი ცივილიზებულ სახეს იღებს, თანდათან იკვეთება მისი განვითარების ტენდენციები და დასტურდება მიმდინარე სადაზღვევო რეფორმების მიმართულების სისწორე, რომელიც დღითიდღე უახლოვდება საერთაშორისო მასშტაბით აპრობირებულ სადაზღვევო საქმიანობის ნორმებსა და სტანდარტებს.

*ნინო ღუმბაძე, მარი გვარიშვილი  
გრივალ რობაქიძის უნივერსიტეტი  
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე  
ბაკალავრიატი, III დონე*

ქვეყნის ფისკალური მდგრადობის გაუმჯობესება შესაძლო  
ბამოწვევების საპასუხოდ

ხელმძღვანელი პროფესორი **თამარ გამსახურდია**

1. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ზეგავლენა იქონია საქართველოს მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე ექსპორტის შემცირებით და სხვა კრიზისთან დაკავშირებული ინდიკატორების ცვლილებით.
2. ქვეყანაში მწვავე კრიზისის ნიველირება მოხდა არაპირდაპირი ფისკალური სტიმულირებით. ფისკალური პოლიტიკის გატარება მიმართულია სახელმწიფო სახსრების სტრატეგიულ განთავსებაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო სახსრების სახელმწიფო პრიორიტეტებისკენ ეფექტურად მიმართვას და ამ პრიორიტეტების დასაფინანსებლად მრავალწლიანი მყარი ფინანსირების პაკეტის შექმნას.
3. განხორციელდა რადიკალური ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, რის შედეგადაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია ევროპაში.
4. ბოლო წლების განმავლობაში მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები საგადასახადო კუთხით, თუმცა რამდენიმე ძირითადი პრობლემა დარჩა. სახელმწიფომ ფისკალური ინსტრუმენტები

სახელმწიფო პოლიტიკის სხვა დარგებს არ მთარგო.

5. ქვეყანაში განხორციელებული რეფორმა სრულად არ შეეხო გადასახადის გადამხდელთა პოზიციიდან არსებულ შემდეგ მნიშვნელოვან პრობლემებს: გადასახადის დონეს, განაწილებას და ამოღების მეთოდს.
6. მთელი ყურადღების ფინანსურ საქმიანობაზე გადატანა და იმის იგნორირება, თუ როგორ ნაწილდება რესურსები და რა ხარისხით ხორციელდება მენეჯმენტი, მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნის ქვეყნის ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფის მხრივ.
7. ბიუჯეტის ხარჯების დიდი ნაწილი მიმართულია საერთო სახელმწიფო მომსახურებისაკენ (თავდაცვა, პოლიცია, სასამართლო). პრიორიტეტული უნდა იყოს დანახარჯები ჯანდაცვისა და განათლების სფეროში, რაც უშუალო ზეგავლენას ახდენს ეფექტიანობაზე, თანასწორობასა და შესაძლებლობების მიცემაზე.

*დემეტრე დემეტრაშვილი*  
*ვორის სასწავლო უნივერსიტეტი*  
*ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*  
*თორნიკე დემეტრაშვილი*  
*ვორის სასწავლო უნივერსიტეტი*  
*ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა*  
*ბაკალავრიატი, I დონე*

გლობალური სასურსათო კრიზისი და მისი ანარქული  
ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **გიული გიგუაშვილი**

1. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს გამოქვეყნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პროგნოზი იმის თაობაზე, რომ 2015–2020 წლებში პლანეტის მოსახლეობის მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე 50%-ით გაიზრდებოდა, რაც

უმწვავეს სასურსათო კრიზისს განაპირობებდა.

2. ეს განცხადება სერიოზული სიგნალი უნდა გამხდარიყო სურსათის იმპორტიორი განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგან გლობალური სასურსათო კრიზისის ნეგატიური შედეგები, პირველ რიგში ღარიბ მოსახლეობაზე აისახება.
3. პროგნოზები გამართლდა და ჩანს, რომ გლობალური სასურსათო კრიზისი უკვე სახეზეა. ამაზე მეტყველებს სურსათზე, განსაკუთრებით მარცვლეულზე, უკიდურესად გაზრდილი ფასები და ექსპორტიორ ქვეყნებში მარცვლეულის მარაგების შემცირება.
4. პროდუქტებზე ფასების ზრდა სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული:
  1. ღირებულება;
  2. იმპორტზე დამოკიდებულება;
  3. ტრანსპორტირების ხარჯი;
  4. მარაგების შექმნა;
  5. მწირი მოსავალი მსოფლიოში;
  6. ბუნებრივი კატაკლიზმები.
5. ნაკლებად დაიმედებელი ინფორმაციები მოდის სურსათის ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყნებიდან. სურსათზე მოთხოვნა კი კვლავ იმატებს, რაც მსოფლიოს სურსათის დეფიციტს უქადის.
6. ინფლაციის თითქმის 80%-იანი წილი სწორედ სურსათის ფასებზე მოდის. ამას დაემატა საწვავის, სატრანსპორტო დანახარჯების გაძვირება, გაიზარდა კომუნალური ხარჯები... მაგრამ ფასები ამ ნიშნულზე გაჩერებას არ აპირებს.
7. ჩვენ მივეკუთვნებით იმ ქვეყნების კატეგორიას, რომელიც დამოკიდებულია საერთაშორისო ბაზარზე, მაგრამ გარკვეულწილად ფასების ცვალებადობა ჩვენს შიდა პოლიტიკაზეცაა დამოკიდებული. სახელმწიფოს შეუძლია, შექმნილი სიტუაციის მეტნაკლებად დაბალანსება.
8. საჭიროა სოფლის მეურნეობის უმთავრეს პრიორიტეტად აღიარება. საქართველომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი მოსახ-



ლეობა, პირველადი მოხმარების სურსათით და შეამციროს იმპორტზე დამოკიდებულების ხარისხი. ეს უკანასკნელი კი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სტრუქტურული ტრანსფორმაციით მიიღწევა.

*ანნა გიორგაშვილი, ნინო საბაღაშვილი  
გრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე  
ბაკალავრიატი, III დონე*

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი

ხელმძღვანელი პროფესორი **თამარ გამსახურდია**

1. საქართველოს, როგორც გლობალური ფინანსური ცენტრის განვითარება, საქართველოს ფინანსური სისტემის ინტეგრაცია მსოფლიო ფინანსურ სისტემაში მოითხოვს განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსებობას;
2. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ხდება ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი ფინანსური წყაროების ფორმირება და მათი განაწილება საინვესტიციო რესურსების სახით.
3. საქართველოს საფონდო ბირჟამ 1930 წელს შექმნილა ფუნქციონირება, ხოლო 90-იან წლებში, როცა ქვეყანამ თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების გზას დაადგა მისი შექმნა კვლავ საჭირო გახდა.
4. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის ფუნქციონირება 1992 წლის 22 აპრილიდან დაიწყო, როდესაც „კავკასიის ბირჟაზე“ ჩატარდა პირველი საფონდო ვაჭრობა.
5. საქართველოს საფონდო ბირჟა 1999 წლის იანვარში დაარსდა, რომელიც დღემდე განვითარების სტადიაშია.
6. 2008 წელს მსოფლიო ფინანსური კრიზისი საქართველოს საფონდო ბირჟაზეც მეტ-ნაკლებად აისახა, რაზეც ამავე წლის მონაცემები მეტყველებს. კერძოდ, ბირჟაზე გარიგებები წინა

წლებთან შედარებით განახევრდა. საეჭვოდ გამოიყურებოდა სახალხო ბანკის აქციების მიზერულ ფასად გასხვისებაც.

7. 2008 წლის მონაცემებით ჩვენს ქვეყანაში 16 საბროკერო კომპანია საქმიანობდა, რომელთა შორისაც ლიდერობდა სს გალტენდ თავგარტი. ის დაარსდა 2000 წელს და 2004 წელს გახდა სს საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია. მისი წილი საქართველოს საფონდო ბირჟაზე ყოველ წელს მატულობს.

8. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი დაარსების დღიდან დღემდე განვითარების სტადიაშია და დაბალი აქტივობით გამოირჩევა; ნაკლებად იყო და არის ჩართული პრივატიზაციის პროცესში; გამოირჩევა, მისი შეზღუდული მატერიალურ ტექნიკური ბაზის სისუსტით და სააქციო კაპიტალის სიმცირით, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვას.

9. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სამი პრინციპის დაცვა – გახსნილობა, სამართლიანობა, შეუქცევადობა.

10. მათი ცხოვრებაში გატარება შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის გარეშე. საფონდო ბაზარი არის ეკონომიკის ყველაზე სათუთი ელემენტი, რომელიც ძალზე სწრაფად რეაგირებს ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე.

11. უნდა შეიქმნას ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნისა და განვითარების ეროვნული პროგრამა, რომელიც პრივატიზაციისა და ეკონომიკის დარგების სტრუქტურული ცვლილებების ეროვნული პროგრამების ადეკვატური იქნება და სადაც უნდა განისაზღვროს, თუ რომელ მოდელს ენიჭება უპირატესობა – საბანკოს, არასაბანკოს თუ შერეულს.

12. საბანკო მოდელი (გერმანული) – გულისხმობს საბანკო და საკრედიტო დაწესებულებების აქტიურ მონაწილეობას ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებაში.

13. არასაბანკო მოდელი (ამერიკული) – უპირატესობას საინვესტი-

ციო ბანკებსა და საბროკერო ფირმებს ანიჭებს, რითაც მინიმუმადე დადის ბანკების მონაწილეობა ქაღალდების ემიტირების, განთავსებისა და კონტროლის სფეროში.

14. შერეული მოდელის შემთხვევაში ბანკებთან ერთად აქტიურად მოქმედებენ არასაბანკო საინვესტიციო ინსტრუმენტებიც.

*მზია ბერაძე*  
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*საბანკო-საფინანსო საქმე*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

უცხოური კაპიტალის მოზიდვის და გამომყენების  
თავისებურებანი საქართველოს საბანკო სფეროში

ხელმძღვანელი მედეა ზურაბიშვილი

1. საქართველოს საბანკო სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სფეროა, სადაც ყოველწლიურად იზრდება უცხოური კაპიტალის ხვედრითი წილი, იხსნება უცხოური ბანკების ფილიალები, იზრდება საბანკო კონკურენცია. ქართული საბანკო ბაზრის განვითარება მნიშვნელოვანწილად უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ განაპირობა. ამასთან დაკავშირებით, დავინტერესდით თუ რა ფაქტორები ზემოქმედებენ საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაზე, რა მექანიზმებით ხორციელდება უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქართულ საბანკო ბიზნესში და რა კეთდება საქართველოში მათი მოზიდვის სტიმულირებისათვის.
2. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები მონაწილეობენ არამხოლოდ ქართული ბანკების საწესდებო კაპიტალში, არამედ ახდენენ ქართული ბანკების საერთაშორისო საკრედიტო ხაზებით დაკრედიტებასაც. კომერციული ბანკების დაკრედიტება საკრედიტო ხაზის გამოყოფის ფორმით შეიძლება განხორციელდეს როგორც ქართულ ბანკსა და უცხოელ ინვესტორს შორის პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე, ისე საქართველოს მთავრობის გავლით გადაკრედიტების საშუალებით.
3. ძირითადად, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს შესყიდული აქვთ კომერციული ბანკის ჩვეულებრივი აქციების

მნიშვნელოვანი წილები ანუ განხორციელებული აქვთ პირდაპირი ინვესტირება. რაც შეეხება პორტუგელურ ინვესტიციებს, მისი წილი ქართულ ბანკებში ძალზე მცირეა. ამის მიზეზია საქართველოში კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დაბალი დონე. რაც შეეხება კონკრეტულად კომერციული ბანკების კაპიტალში ინვესტიციების დაზღვევის მექანიზმებს, მისი მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. დღეისათვის, სხვადასხვა ფინანსური რისკებისაგან დაზღვევის მექანიზმების დანერგვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს კომერციული საქმიანობის ეფექტიანი წარმართვის კუთხით.

4. ჩვენი აზრით, ხემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება, აგრეთვე წარმოჩენილი პრობლემების დროული და ეფექტიანი გადაწყვეტა, ხელს შეუწყობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს საქართველოს საბანკო სისტემის შემდგომ განვითარებას.

*სალომე დალაქიშვილი  
კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე  
ბაკალავრიატი, III დონე*

ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის მოკლე  
ანალიზი საქართველოში

ხელმძღვანელი პროფესორი **გიორგი ძნელაძე**

1. ძალზე ძნელი და დღევანდელი გადმოსახედიდან, ალბათ არამადლიერი ამოცანა არის მთავრობის თითქმის ყოველწლიური „ახალი“ ეკონომიკური ხედვების, კურსებისა და რეფორმების შეფასება. მით უმეტეს, როდესაც ქვეყნის უკიდურესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური დაძაბულობის ფონზე საზოგადოება უპირატესად არა კრიტიკას, არამედ მიუკერძოებელ ანალიზსა და უკეთესი პერსპექტივისაკენ მიმავალ რაციონალურ გზებსა და კონკრეტულ რეკომენდაციებს მოეძიებს.

2. ნებისმიერი უკვე „გატარებული“ ეკონომიკური რეფორმის შეფასება ძალზე იოლია, რადგან მას გააჩნია რაოდენობრივი და

ხარისხობრივი შედეგები, რაც ფორმალიზებულ შეფასებას ექვემდებარება. ეს შედეგები რეალურად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებლებზე. სწორედ ამ პოზიციიდან გამომდინარე გვსურს გავაანალიზოთ საქართველოს ბოლო დროის ეკონომიკური და სოციალური რეფორმების დღევანდელი რეზულტატები.

3. განურჩევლად ნებისმიერი ფინანსური სახსრების (ინვესტიციების, კრედიტების) მოზიდვა არ ნიშნავს ცალსახად გარანტირებულ და სწრაფ ეკონომიკურ ზრდასა და სამუშაო ადგილების რაოდენობის გაზრდას.

4. საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრა შედარებით ადვილია – ისინი უნდა იყვნენ მიმართული მოსახლეობის ღირსეული ცხოვრების დონის ამსახველი რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების მიღწევასა და შენარჩუნებაზე. უფრო რთული და შრომატევადი პროცესია ყოველივე ამის რეალურად გათვლა და აღსრულება. თუმცა, პირველის გარეშე მეორეს აზრი ეკარგება.

5. სახელმწიფო საგარეო ვალთან დაკავშირებით ზედგამოჭრილი ძველი ჭეშმარიტება: „ნუ გეშინია დიდი ხარჯების, გეშინოდეს პატარა შემოსავლების“. ანუ, რაც გადასახდელია – მაინც გადავახდევინებენ, მთავარია იმ მომენტისთვის ხაზინა არ დაგვხვდეს ცარიელი.

6. ერთადერთი სფერო, სადაც შედარებითი სატაბილურობაა არის საბანკო სექტორი. 2010 წელი საქართველოს საბანკო სექტორისთვის საკმაოდ წარმატებულად უნდა შეფასდეს. ქართული ბანკების უმეტესობამ გასულ წელს განვითარების დადებითი ტენდენცია გამოამჟღავნა. 2010 წლის განმავლობაში, საბანკო სექტორმა მხოლოდ ორი თვე, იანვარ-თებერვალი, დაასრულა წაგებით, დანარჩენ შემთხვევაში ბანკები მოგებაზე მუშაობდნენ.

7. ექსპერტთა განმარტებით, ქართულ ბანკებს კრიზისის გადატანაში სამი ფაქტორი დაეხმარა. პირველი - ბანკების უმეტესობა კრიზისს კაპიტალისა და ლიკვიდურობის მაღალი დონით შეხვდა. მეორე - ქართულმა ეკონომიკამ კრიზისის პერიოდში სერიოზული საერთაშორისო დახმარება მიიღო, რაც მთლიანად

ეკონომიკასა და საბანკო აქტივებს დადებითად წაადგა და მესამე - ზოგ ბანკს მათი აქციონერები ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები დაეხმარნენ.

*თამარ შაიშველაშვილი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საბანკო-საფინანსო საქმე  
ბაკალავრიატი, IV დონე*

საბანკო რისკების მართვა

ხელმძღვანელი პროფესორი **ხათუნა ჯოსაზე**

1. რისკი საბანკო საქმეში არის ბანკის მიერ განსაზღვრული ფინანსური ოპერაციების განხორციელების შედეგად, თავისი ფინანსური რესურსების ნაწილის დაკარგვის, შემოსავლების სრული მოცულობით მიუღებლობის ან დამატებითი გაუთვალისწინებელი ხარჯების განხორციელების შესაძლო გამოხატულება. რისკის მიზეზები: ეკონომიკური კრიზისები, საგარეო დავალიანების ზრდა, ფინანსური ინოვაციები, ინფლაციური პროცესები, ბანკის დანახარჯების ზრდა და სხვა.

2. რისკები ჩვეულებრივ იყოფა სამ კატეგორიად:

- ფინანსური
- ფუნქციონალური
- ბანკის მიმართ სხვა საგარეო რისკები.

ფინანსური რისკები დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან აქტივებისა და პასივების მოცულობაში, შემოსავლიანობაში, ღირებულებასა და სტრუქტურაში. ფუნქციონალური რისკი დაკავშირებულია ნებისმიერი პროდუქტის შექმნის ან მომსახურების გაწვევის პროცესთან და მას ადგილი აქვს ნებისმიერი ბანკის საქმიანობისას. თითოეული კატეგორია იყოფა ქვეკატეგორიებად. ფინანსური რისკებს მიეკუთვნება: საკრედიტო, ლიკვიდობის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების, სავალუტო, საბაზრო, ინფლაციის, არგადახდების რისკები. ფუნქციონალურ რისკებს მიეკუთვნება: სტრატეგიული, ტექნოლოგიური, საოპერაციო ან ზედნადები

ხარჯების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის რისკები. ბანკის მიმართ სხვა კატეგორიის რისკებს მიეკუთვნება: შეუსაბამობის და რეპუტაციის დაკარგვის რისკები.

3. რისკის მართვის სისტემის ელემენტები: აქტივებისა და პასივების მართვა, ნორმატივებისა და ლიმიტების დადგენა, ფასწარმოქმნა პროდუქტებსა და მომსახურებაზე, შიდა მმართველობითი აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის სისტემა, ანგარიშგებისა და დოკუმენტრუნვისადმი მოთხოვნების დაწესება, საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზება, უსაფრთხოების სამსახური, აუდიტი, მონიტორინგი, უფლებამოსილებათა განსაზღვრა ცალკეული ოპერაციების მიხედვით გადაწყვეტილების მიღებისას, საინფორმაციო ანალიტიკური სამსახური.

*თონა კაპანაძე*

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საბანკო-საფინანსო საქმე  
ბაკალავრიატი, IV დონე*

ფულადი გზავნილების განმაცხრიციელკეპალი პირების  
საქმიანობა საქართველოს ფინანსურ ბაზარზე

**ხელმძღვანელი მედეა ზურაბიშვილი**

1. დღევანდელი ყოფა ფაქტიურად წარმოუდგენელია ფულადი გზავნილების გარეშე. თუ ადრე ფულს საგულდაგულად შეფუთული კონვერტით გზავნიდნენ და მის ადრესატამდე მისვლას რამდენიმე დღე უნდოდა, დღეს უკვე არსებობს უამრავი ფულადი გზავნილის ტიპი, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ფულის სწრაფად, მარტივად და რაც შეიძლება უსაფრთხოდ გაგზავნა. ფულადი გზავნილების სისტემაში მოიცვა თითქმის მთელი მსოფლიო. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა, სადაც შეუძლებელია განვახორციელოთ გადარიცხვები, ისიც არა ფინანსური სისტემის განუვითარებლობის გამო, არამედ იმიტომ, რომ საშიშროებაა რაიმე უკანონო ტრანზაქციები არ განხორციელდეს ქვეყანაში არსებული რიგი გარემოებების გამო.
2. მსოფლიო ფულადი ნაკადების საერთო მოცულობაში ფულადი გზავნილები მხოლოდ პირდაპირ ინვესტიციებს თუ ჩამორჩე-

ბა. ფაქტიურად ფულადი გადარიცხვები – ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საბანკო მომსახურებაა მთელ მსოფლიოში. უკანასკნელი მონაცემებით მსოფლიო 2011 წლის მარტის თვეში საქართველოში განხორციელდა 88,1 მლნ. დოლარის ოდენობის ფულადი გზავნილი, ხოლო საქართველოდან კი გადარიცხა 6,2 მლნ. დოლარი.

3. ამ საკითხთან დაკავშირებით დავინტერესდით ფულადი გზავნილების განმახორციელებელ პირთა საქმიანობით საქართველოს ფინანსური ბაზარზე. განვიხილეთ მსოფლიოში გავრცელებული ფულადი გზავნილების სისტემები და გავაანალიზეთ საქართველოს ფინანსური ბაზრის ამ სექტორზე არსებული მდგომარეობა.
4. ფულადი გზავნილები განსხვავდებიან ერთანეთისაგან გადარიცხვის მეთოდებით ოპერაციის შესრულების სიჩქარით და მომსახურების ტარიფებით.
5. ზოგიერთ ქვეყანაში ფულადი გზავნილები ხორციელდება ბანკების მეშვეობით, რომელთაც დადეს ხელშეკრულება გზავნილების ამა თუ იმ სისტემასთან და გვევლინებიან მის აგენტებად. ზოგიერთ ქვეყანაში ფულადი გზავნილების აგენტების როლში გამოდიან არა მხოლოდ ბანკები, არამედ სხვა პირებიც.
6. საქართველოში ფულადი გზავნილები ხორციელდება, როგორც კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და საკრედიტო კავშირების, ისე ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ, რომელიც რეგისტრაციისათვის მიმართავს საქართველოს ეროვნულ ბანკს და დააკმაყოფილებს ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.



*ეკატერინე ორბელიანი*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*ტურიზმის მენეჯმენტი*  
*ბაკალავრიატი, III დონე*

სასტუმრო ოუშეთში

ხელმძღვანელი გიგი ყუფარაძე

1. საქართველოს ტურიზმის ზოგადი მიმოხილვა – საქართველოს ტურისტული ბაზრის კვლევა და ანალიზი აუცილებელი პირობაა ბაზარზე მიმდინარე ტენდენციების გამოკვლევისა და ტუროპერატორებისათვის სწორი რეკომენდაციების მისაცემად. ტურიზმის განვითარებისათვის პირობების გასაუმჯობესებლად ტურისტების რეკომენდაციები შედარებით გლობალურ ხასიათს ატარებს. მათი აზრით აუცილებელია ქვეყნის სწორი რეკლამირება და პრომოუშენი, შემდეგ კი უკეთესი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა.
2. თუშეთი ტურისტული პოტენციალი – თუშეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ადმინისტრაციულად იგი შედის ახმეტის მუნიციპალიტეტში და ზღვის დონიდან 1650 – 4493 მ სიმაღლეზე მდებარეობს, სოფლები განლაგებულია 1900 მ-დან 2400 მ-მდე. ივლის-აგვისტოში ტურისტულ სეზონზე ჰაერის ტემპერატურა 14-15 გრადუსია. თუშეთში ძირითადად სუსტი ქარი და წყნარი დღეები იცის. თუშეთის ტერიტორიები ხასიათდება ფლორისტული მრავალფეროვნებით, ენდემურ და უძველეს რელიქტურ სახეობათა სიუხვით. თუშეთის ტყეებში გამოიყოფა ტყის ტიპები, რომლებიც სხვაგან თითქმის არ აღნიშნულა, გამოირჩევა ფაუნითაც. თუშეთი ცნობილია მისი ტრადიციით და კულტურით.
3. თუშეთი ერთ-ერთი საინტერესო ტურისტული ადგილია. ტურისტებს იზიდავთ მისი თვალწარმტაცი ბუნება, ადგილობრივი წეს-ჩვეულებები, ისტორიულ-კულტურული ძეგლები. ტურისტებს შეუძლიათ ისარგებლონ ტურისტული მომსახურების სხვადასხვა სახით. თუშეთში კეთილმოწყობილია საოჯახო სასტუმროები. მე განვიხილე რამოდენიმე მათგანი და მათი მომსახურება და ტურპროდუქტი და ჩემი აზრით თუშეთში შეიძლება ასევე აღმოჩენილი ტურიზმის განვითარებაც, რომელიც ჩემ

მიერ წარმოდგენილ სასტუმროში იქნება.

*ეთერ მათიაშვილი*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*ტურიზმის მენეჯმენტი*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

თბილისის სასტუმროების კვლევა ძველი  
თბილისის რაიონში

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **თამარ ქობლანიძე**

1. მსოფლიო სასტუმრო და სარესტორნე ინდუსტრიის განვითარება დაკავშირებულია ტურიზმის ისტორიასთან. საუკუნეების განმავლობაში სასტუმროები მტკიცედ დადგნენ ფეხზე და ისინი არა მხოლოდ ღამის გათევის საშუალებებს წარმოადგენდნენ, არამედ გოთავაზობდნენ საქმიანი შეხვედრების, თათბირების და კონფერენციების ჩატარების შესაძლებლობას, დასვენებას და გართობას.
2. სასტუმროს მართვა და ფუნქციონირება გახდა სპეციალური საქმიანობა მუშაობის საკუთარი სტილითა და მეთოდებით. ამიტომ კვლევის დაწყებამდე მნიშვნელოვანია სასტუმროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის გაცნობა.
3. კვლევაში განხილულია საქართველოში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ისტორია და მისი დღევანდელი მდგომარეობა; მსოფლიოს ცნობილი ბრენდების შემოსვლა საქართველოს დაბინავება-განთავსების ბაზარზე; გაზრდილი კონკურენცია; სასტუმროს მომსახურებების მუდმივი გაუმჯობესება მსოფლიოს საცნაურების შესაბამისად; ნაწილობრივ დარეგულირებული ფასები; ძველი თბილისის სასტუმროების გამოკვლევა და მათი შედარება არსებულ სტანდარტებთან.
4. რა დონის და რაოდენობის სასტუმროების არსებობაა საჭირო მასიური ტურიზმის განსავითარებლად, რა პრობლემებს ვაწყდებით სასტუმროსთან დაკავშირებულ კადრებთან და როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემები, რათა ამადლდეს მომსახურების ხარისხი ქართულ სასტუმროებში.

*ზიზი მერაბიშვილი, სულიკო სანდოძე  
კრივულ რობაქიძის უნივერსიტეტი  
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე  
ბაკალავრიატი, I დონე*

ფრანჩაიზინგის როლი და მნიშვნელობა ბიზნესის  
ბანკოთარმობაში

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ვასილ კიკუტაძე**

1. ფრანჩაიზინგი არის ბიზნესის ორგანიზაციული ფორმა, რომელიც აძლევს მეწარმეს უკვე ცნობილი საქონლის გაყიდვის ან მომსახურების გაწევის უფლებას. ფრანჩაიზინგი გულისხმობს სავაჭრო მარკის გადაცემას და ფრანჩაიზულ წარმოებაში აუცილებელი აქტივების ჩართვას.
2. ფრანჩაიზინგი წარმოიშვა ფრანგული სიტყვისგან “franchise”, რაც გულისხმობდა გარკვეულ შეღავათს და ბეგარა-გადასახადებისაგან განთავისუფლებას. ფრანჩაიზინგის განვითარების ისტორია იწყება აშშ-დან, რომელიც არამარტო აკვანია თანამედროვე ფრანჩაიზინგისთვის, არამედ უმსხვილესი რეალიზაციის სფეროა მსგავსი სისტემებისთვის. აშშ წარმოადგენს ფრანჩაიზინგის სისტემის უმსხვილეს ექსპორტიორს მთელ მსოფლიოში.
3. არსებობს ფრანჩაიზის ოთხი ძირითადი ფორმა: სასაქონლო ნიშნის გამოყენების ფრანჩაიზინგი, როდესაც ფრანჩაიზის მყიდველი კორპორაციას უხდის ფულს სასაქონლო ნიშნის გამოყენებისათვის; მზა პროდუქციის გაყიდვის ფრანჩაიზინგი, როდესაც მყიდველი ყიდულობს საქონელს კორპორაციისგან, ხოლო შემდგომ ახდენს მის რეალიზაციას საკუთარი ფასებით; საქონლის წარმოების ფრანჩაიზინგი, როდესაც ლიცენზიანტი დედობილი კომპანიისგან იღებს მისი საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის უფლებას; საქმიანობის სახეობაზე ფრანჩაიზინგი, რომლის მიხედვით ლიცენზიანტი ყიდულობს საკუთარი ფირმის გახსნის უფლებას კორპორაციის სახელწოდების გამოყენებით მისი საქმიანობის პროფილის შენარჩუნებით.
4. ფრანჩაიზინგის პოპულარობა განპირობებულია სამი ძირითადი ფაქტორით: ლიცენზიის გამყიდველი ამყარებს თავისი საქმი-

ანობის საფუძველს; ღიცენზიის მყიდველი იგებს იმიტომ, რომ ის იყენებს ღიცენზიის გამყიდველის უკვე ცნობილ, აპრობირებულ მეთოდოლოგიას; ფართო მომხმარებელი მოგებულია იმიტომ, რომ ის უწყვეტად იღებს საქონელსა და მომსახურებას.

5. საქართველოში ფრანჩაიზინგი, თავისი კლასიკური ფორმით XX საუკუნის ბოლოს 90-იანი წლების დასაწყისში შემოვიდა, მაგრამ შემოვიდა უცხოური ინვესტიციების სახით. ფრანჩაიზინგის სისტემით საქართველოში მუშაობენ ისეთი ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, როგორცაა "Coca-Cola", "Mc Donald's"-ი, "baskin-Robbins"-ი, მაღაზიების ქსელი "United Colors of Benetton", "Mango" და ასე შემდეგ.

*ია კალმახელიძე, მარიეტა კუპრავა  
კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე  
ბაკალავრიატი, I დონე*

## ბიზნესის ბარემო საქართველოში

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ვასილ კიკუტაძე**

1. ბიზნეს გარემო არის - ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის მიმართულეებზე, მის ტემპებსა და მაშტაბებზე.
2. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ქვეყანაში კერძო მეწარმეობის განვითარება, მისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით. ეკონომიკური რეფორმები მიმართულია ლიბერალიზაციასა და კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებულ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისკენ. ეკონომიკის დერეგულირებისაკენ მიმართული პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი სფეროების რაოდენობა და გამარტივდა რეგულირების პროცედურები.
3. უცხოური ინვესტიციებისთვის ევროპის ბაზართან შედარებით, საქართველო მიმზიდველია თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიუ-

ლი მდებარეობით. თუმცა აღსანიშნავია, ისიც რომ არსებობს რიგი მიზეზებისა, რის გამოც საქართველოში ხელი ეშლება უცხოური ინვესტიციების შემოსვლას, ესენია: პოლიტიკური არასტაბილურობა, დიდი საგარეო ვალი, საქართველოს ბაზრის მცირე ტევადობა და სხვა. შესაბამისად ინვესტიციები ძირითადად ორიენტირებულია საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელ დარგებზე.

4. სტატისტიკა აჩვენებს, რომ გასული წელი ყველაზე მომგებიანი ვაჭრობისთვის იყო. ეს სექტორი კრიზისის პერიოდშიც მოგებაზე მუშაობდა. სტაბილურად მომგებიანია საფინანსო სექტორი. კვლავაც მოგება მოაქვს სასტუმროებსა და რესტორნებში ჩადებულ ფულს, რაც ტურიზმის ზრდამ განაპირობა. ბევრ ბიზნესს კრიზისის დაძლევა გაუჭირდა, განსაკუთრებით მძიმე 2010 წელი სოფლის მეურნეობისთვის და მშენებლობისათვის გამოდგა.
5. უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ბიზნეს გარემო მეტნაკლებად უმჯობესდება, ამას ადასტურებს სახვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები. აღნიშნული კვლევების თანახმად, განსაკუთრებით გაუმჯობესდა ბიზნესის დაწყების, რეგისტრაციის პირობები, გაიზარდა ფისკალური თავისუფლების ხარისხი და ა.შ.

*თამარ დავითაძე  
კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ბიზნესის ადმინისტრირება  
ბაკალავრიატი, I დონე*

თამაშთა თეორია და თანამშრომლობის ეკონომიკა

ხელმძღვანელი პროფესორი **მურთაზ კვიციანი**,  
პროფესორი **დალი ქადაგიშვილი**

1. თემაში ყურადღება გამახვილებულია ბაზრის სტრუქტურის ტიპებსა და მათ განმსაზღვრელ ფაქტორებზე. კერძოდ, რატომ არის ხშირად რთული გავიგოთ თუ რომელი სტრუქტურა ადვილად ბაზარს ყველაზე უკეთ.

2. თავისთავად ცხადია, თამაშთა თეორია და თანამშრომლობის ეკონომიკა შეუძლებელია სრულყოფილად განვიხილოთ ოლიგოპოლიური ბაზრის თეორიის გარეშე. თემის ფარგლებში გადმოცემული იქნება ოლიგოპოლიები, როგორც პატიმრების დილემა. კერძოდ, განვიხილავთ OPEC-ის მაგალითს. აღსანიშნავია, რომ არასრულყოფილი კონკურიენციის ბაზრის ტიპებს შორის ოლიგოპოლიური ბაზარი წარმოადგენს რეალობასთან მიხედვებულ ბაზრს, რომლის მსგავსიც პრაქტიკაში ხშირად გვხვდება. ამ ტიპის ბაზარზე ფირმების მცირე რაოდენობა განაპირობებს იმას, რომ ფირმები შეზღუდული არიან გადაწყვეტილებების მიღებაში, ვინაიდან ურთიერთდამოკიდებულება ფირმებს შორის არ აძლევს მათ შესაძლებლობას სხვა ფირმების რეაქციის გათვალისწინების გარეშე მიიღონ გადაწყვეტილება ფასსა და წარმოების მოცულობასთან დაკავშირებით.
3. ოლიგოპოლიურ ბაზარზე მიმდინარე პროცესების თვალსაჩინოებისთვის, ჩვენ მიერ არჩეული იქნა თამაშთა თეორია, რომელიც გვიხსნის ოლიგოპოლისტების ქცევას სტრატეგიულ სიტუაციაში.
4. თემის ბოლოს, განხილულია ოლიგოპოლიების მასშტაბების ზეგავლენა ბაზრის ფუნქციონირების შედეგებზე და აგრეთვე ოლიგოპოლია და სახელმწიფო პოლიტიკა.

*სამანტა ბერიძე*

*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
ბიზნესის ადმინისტრირება  
ბაკალავრიატი, I დონე*

შრომის ბაზრის ეკონომიკა

ხელმძღვანელი პროფესორი **მურთაზ კვიციანი,**  
პროფესორი **დალი ქადაგიშვილი**

1. შრომის ბაზრის ეკონომიკის სრულყოფილი შესწავლა მოთხოვნის ფაქტორების ბაზრის ზოგად მიმოხილვას, ნაშრომში გადმოცემული იქნება წარმოების ფაქტორების ბაზრის ანალიზი და შრომაზე მოთხოვნის დეტერმინანტები. მნიშვნელოვანია აგრეთვე წარმოების ფუნქცია და შრომის ზღვრული პროდუქ-

ტი. პასუხი გაეცემა კითხვას რატომ არის შრომის ზღვრული პროდუქტი კლებადი.

2. შრომის ბაზრის კონიუნქტურაზე საუბრისას ერთ-ერთი მთავარი საკითხი არის მოქმედი ფაქტორების დახასიათება, რომელებიც იწვევენ შრომაზე მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებას. კერძოდ შრომაზე მოთხოვნისა და მიწოდების მრუდის გადაადგილების გამომწვევი მიზეზების დადგენა და შეფასება.
3. თემის ფარგლებში შევეცდებით ავხსნათ შრომის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობა რაც დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ ღებულობენ ადამიანები გადაწყვეტილებას, რამდენი იმუშაონ და რამდენი დაისვენონ, რატომ აქვს შრომის მიწოდების მრუდს აღმავალი მიმართულება და ა.შ.
4. მეტად საინტერესო საკითხია კავშირი საზოგადოებრივ პოლიტიკასა და სამუშაოს ძებნას შორის. საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხებია რამდენ ხანს გრძელდება უმუშევრობა და რატომ ხდება რომ მუდამ ვიღაც არის უმუშევარი.

*თინათინ ქაჭაშვილი*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*ბიზნესის ადმინისტრირება*  
*ბაკალავრიატი, I დონე*

კომპანია ბენი და ჯერის საქმიანობის კვლევა

ხელმძღვანელი პროფესორი **მურთაზ კვიციანი**,  
პროფესორი **დალი ქადაგიშვილი**

1. ყველა წარმატებული ბიზნესის შექმნასა და მართვას არ უღვევს საფუძვლად ერთნაირი პრინციპები, კერძოდ კი ფორმალური ბიზნეს გეგმები, ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურები და აგრეთვე მოგებაზე ძლიერი ორიენტაცია. სწორედ ასეთი მიდგომა აქვთ მეწარმე ბენ კოინს და ჯერი გრინფილს, რომელსაც მსოფლიოში ერთ ერთი ყველაზე ცნობილი ნაყინის კომპანია აქვთ, რომელიც მათ სახელს ატარებს.
2. ბენი და ჯერი თავდაპირველად არატრადიციულად მიუდგნენ საქმეს.

არ დაუწყიათ თავიანთი კარიერა ელიტარული ბისნეს სკოლებით, არც ჰქონდათ არავითარი ფინანსური მხარდაჭერა. მათ გადაწყვიტეს მეგობრისგან რომოდენიმე ათასი დოლარი ესესხათ რომ დაეწყოთ ბისნესი და მართაც მათ გაუმართლათ. ეს დაწვებული ბისნესი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა მათთვის. პირველად მათ შეიძინეს გასამართი სადგური, რომელიც შემდგომ გადააქციეს ნაყინის საამქროდ.

3. ბენი და ჯერის კომპანიას 500-ზე მეტ ქვეყანაში აქვთ ფილიალი, სადაც ყველა სახეობის ნაყინი იყიდება (ნაკლებად კალორიულიც). დღეს დღეობით კომპანია ძალიან წარმატებით მუშაობს, კომპანიას აქვს თავისი საიტი, სადაც ყველა მომხმარებელს შეუძლია არჩევა სასურველი ნაყინის და ასევე აქვს ბავშვებისთვის გასართობი თამაშები ნაყინებზე.



## მედიცინის სექცია

*მანანა რობაქიძე, ანა ყუფარაძე, ლია სიჭინავა  
კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
სტომატოლოგიის პროგრამა, I დონე*

### ცილოვანი კვების დარღვევა

ხელმძღვანელი პროფესორი **ნინო თხილავა**

1. ცილოვანი კვების დარღვევა წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან და გავრცელებულ კვების პრობლემას მცირეწლოვან ბავშვებში. კლინიკური სინდრომი, კვაშიორკარი, ვითარდება ძირითადად 1-3 წლის ასაკში და მჟღავნდება ძუძუთი კვების შეწყვეტისას სახამებელიან ცილის ნაკლებად შემცველ საკვებზე გადაყვანით. სახელწოდება წარმოიშვა განაში და ნიშნავს „უფროსი შვილის ავადმყოფობას, როდესაც იბადება მეორე ბავშვი“ ეს დაავადება ვითარდება ბავშვის კვებით ადეკვატური კალორიების, მაგრამ მცირე რაოდენობით ცილის შემცველი საკვებით. ის შეიძლება გამოვლინდეს მაშინ როდესაც ორგანიზმის მთხოვნილება ცილებზე იზრდება ინფექციის გამო მაგალითად, მალარიისას ჰელმინთოზისას ან გასტროენტერიტისას დაავადება ხასიათდება ზრდაში ჩამორჩენით, პლაზმის ცილებისა და ამინომჟავების დაბალი დონით, კუნთების განღვებით, შეშუპებით, ღიარებით და ინფექციის მიმართ მიდრეკილებით. კანქვეშა ცხიმის არსებობა მკვეთრად განასხვავებს მას მარტივი შიმშილისაგან. ცხიმოვანი მარაგი ნარჩუნდება ნახშირწყლების დიდი რაოდენობით მიღების გამო, რაც იწვევს ინსულინის მაღალ დონეს სისხლში. ინსულინის მაღალი დონე ხელს უშლის შიმშილის დროს ადაპტაციას. ცხიმი როგორც ენერჯის წყარო, არ მობილიზდება, კეტოგენეზი არ მიმდინარეობს და არ ხდება ამინომჟავების გადატანა კუნთებიდან ღვიძლის, თირკმლების, გულისა და იმუნური უჯრედების მიმართულებით. საკვებში ამინომჟავების ნაკლებობა იწვევს ცილების სინთეზის შემცირებას ყველა ქსოვილში. ღვიძლი ზომაში დიდდება და ინფილტრირებულია ცხიმით, რაც მიუთითებს ღვიძლის მიერ VLDL წარმოქმნისა და გამოყოფისათვის საჭირო ცილების სინთეზის საჭიროების გაზრდაზე. გარდა ამისა, ცილოვანი კვების დარღვევა იწვევს ნაწლავების დისფუნქციას და ნახშირწყლების, ცილებისა და ვიტამინების მაღალ-

სორბაციას, რაც ამძიმებს დაავადებას. შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის ვითარდება დეფიციტი. სიმადლის შეუსაბამო სიგამხდრის ბავშვებს უწოდებენ „განღეულს“, თუმცა სწორი კვებით შესაძლებელია მათი გამოჯანმრთელება. წონასთან შედარებით ნაკლები სიმადლის მქონე ბავშვებს უწოდებენ „ზრდაში ჩამორჩენილს“, ისინი ვერასოდეს მიაღწევენ სრულ სიმადლეს ან გონებრივ შესაძლებლობებს.

2. ცილოვან-კალორიული მალნუტრიცია წარმოადგენს მოხუცებულთა პრობლემას მათი ავადმყოფობის პერიოდში. ჯანმრთელი მოხუცის მოთხოვნილება ენერჯისა და საკვებზე მცირდება ასაკთან ერთად. არსებობს რისკი, რომ მოხდეს ცილებისა და კვებითი ღირებულების მქონე ისეთი კომპონენტების არასაკმარისად მიღება, როგორცაა რკინა, კალციუმი და ვიტამინები. ასეთი დეფიციტი აძლიერებს სხეულის მასის კლებასა და უღონობას (რაც ახშირებს დაცემას), ანემიას, ძვლების სიმკვრივის შემცირებასა და იშვიათად ვიტამინ-დეფიციტურ მდგომარეობებს. ქრონიკული დაავადებები, რაც ხშირია მოხუცებში, იწვევს მადის, კვებისა და საკვები პროდუქტების ასიმილაციის დარღვევას. შედეგად, მოხუცი პაციენტები უფრო ხშირად ავადდებიან ცილოვან-კალორიული მალნუტრიციით, ვიდრე ახალგაზრდა პირები.

*თამარ ორდენიძე*

*ვრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
სტომატოლოგიის პროფრაზა, II დონე*

**ნუტრიციული პრობლემები ახალშობილებში**

ხელმძღვანელი პროფესორი **ნინო თხილაგა**

1. ახალშობილები განსაკუთრებული ნუტრიციული რისკის ქვეშ იმყოფებიან ძლიერ სწრაფი ზრდისა და სხვადასხვა ნუტრიენტებზე გაზრდილი მოთხოვნილების გამო.
2. ზოგიერთი მიკრონუტრიენტი (როგორცაა ვიტამინი E და K) ვერ კვეთს პლაცენტის მემბრანულ კედელს და მათი ქსოვილოვანი მარაგი ახალშობილებში მცირეა.

3. კუჭნაწლავის-gastro-intestinal (GI) ტრაქტი შესაძლოა არ იყოს სრულად განვითარებული. რაც გამოიწვევს მაღაბსორბციის პრობლემებს (განსაკუთრებით ცხიმში ხსნად ვიტამინებთან მიმართებაში). GI ტრაქტი დაზარალებისას სტერილურია, ხოლო ნაწლავური ფლორა,რომელიც ჩვეულებრივ უზრუნველყოფს ზოგიერთი ვიტამინის (განსაკუთრებით ვიტამინი K-ს მნიშვნელოვან რაოდენობებს, ჩამოყალიბებისათვის საჭიროებს რამოდენიმე დღეს).
4. თუ ჩვილი დღენაკლული იბადება, ნუტრიციული რისკი ოდნავ მეტია, რადგან GI ტრაქტი კიდევ უფრო ნაკლებადაა განვითარებული და ქსოვილოვანი მარაგიც ნაკლებია.
5. ყველაზე სერიოზული ნუტრიციული გართულებაა ჰემორაგიული დაავადება. ახალშობილებში, განსაკუთრებით კი დღენაკლულებში, ვიტამინი K-ს ქსოვილოვანი მარაგი მცირეა და ვიტამინის სინთეზისათვის საჭირო ნაწლავური ფლორა არ არის ჩამოყალიბებული. დედის რძე ვიტამინ K-ს შედარებით ღარიბი წყაროა.
6. ყოველი 400 ახალშობილიდან დაახლოებით 1-ს აღენიშნება ჰემორაგიული დაავადების ნიშნები, რომლის თავიდან აცილება შესაძლებელია 0,5-1მგ ვიტამინის მიცემით დაბადებისას.
7. ახალშობილთა უმრავლესობას რკინის მარაგი საკმარისი აქვს 3-4 თვისათვის. რამდენადაც დედისა და ძროხის რძე რკინას მცირე რაოდენობით შეიცავს, რკინის დამატება ჩვეულებრივ ადრეულ ასაკში იწყება რკინით გამდიდრებული მარცვლეულის კვებაში ჩართვით. ვიტამინ D-ს დონე დაბალია დედის რძეში და ჩვეულებრივ რეკომენდებულია მისი დამატება 200 IU/დღეში დოზით.
8. როდესაც საჭირო ხდება ახალშობილის ხელოვნურ სუნთქვაზე გადაყვანა ჟანგბადის მაღალი კონცენტრაციით, ვიტამინ E-ს დამატება ამცირებს ბრონქოპულმონური დისპლასიისადა რეტროლენტიური ფიბროპლასიის, ჟანგბადით თერაპიის პოტენციური გართულებების განვითარების რისკს. დღენაკლულთა ანემია რეაგირებს ფოლიემშჟავასა და ვიტამინ B-ის დამატებაზე.

9. დასკვნის სახით, ჰემორაგიული დაავადების თავიდან ასაცილებლად ვიტამინ K-ს დამატებით მიცემა ხდება დაბადებისთანავე. ძუძუთი კვებაზე მყოფ ახალშობილებს ჩვეულებრივ დამატებით აძლევენ ვიტამინ D-ს, რკინა კი ეძლევათ მყარი საკვების მიღების დაწყებასთან ერთად. ხელოვნურ კვებაზე მყოფ ახალშობილებს დამატებით აძლევენ რკინას. თუკი ახალშობილი იმყოფება ქანგადაით თერაპიაზე, ვიტამინ E-ს გადამწვევტი რთლი ენიჭება.

*თეა ღლონტი, ნანა ჩხატარაშვილი, თამარ ნიქაბაძე  
კრივალ რობაქიძის უნივერსიტეტი  
სტომატოლოგიის პროგრამა, I დონე*

ErbB/HER ტირ(ო)ზონიკინაზური რეცეპტორის ოჯახი, (რ)ბ(ო)რც  
ავთივისებანი სიმსივნის საწინააღმდეგო ქიმიოთერაპიის  
სამიზნე

ხელმძღვანელი პროფესორი **ნინო თხილავა**

1. ეპიდემიოლოგიური ზრდის ფაქტორის რეცეპტორი. პირველი, დეტალურად შესწავლილი ტირიზინკინაზური რეცეპტორია. იგი ოთხი მონათესავე ცილათა ოჯახის ერთ-ერთი წევრია, რომელსაც ფრინველში ერთთრიდული ლეიკემიის გამომწვევი ერთობლასტოზის ვირუსის v-erbB ონკოგენთან მსგავსების გამო ErbB/HER ეწოდა. ErbB/HER ცილებისა და ავთვისებიანი სიმსივნის კავშირი, ადამიანებშიც არის აღწერილი. ადამიანის EGF(HER1) რეცეპტორის მაკოდირებელი ErbB1 გენის ჭარბი ექსპრესია, დამახასიათებელია შარდის ბუშტის, მკერდის, თირკმლის, პროსტატისა და ფილტვის არა-წვრილუჯრედოვანი ავთვისებიანი სიმსივნისათვის. მუტაციური ErbB1 გენი წარმოქმნის რეცეპტორს, რომელსაც არ გააჩნია უჯრედგარე EGF-დამაკავშირებელი დომენი; იგი ძალზედ ძლიერი არის ექსპრესირებული გლიობლასტომებში, რომელიც მოზრდილებში, თავის ტვინის სიმსივნეების 25% ს შეადგენს. ადამიანის ErbB3 და ErbB4, შესაბამისად აკოდირებენ HER3 და HER4-ს რეცეპტორებს, რომლებიც უჯრედგარე ცილებს, HGR (neurogulin/heregulin/neu) ოჯახის წარმომადგენელ ზრდისა და დიფერენციაციის ფაქტორებს უკავშირდებიან. ხშირად, ErbB3 სუპერექსპრესირებულია მკერდის, ნაწლავის, პროსტატის და კუჭის

ავთვისებიან სიმსივნის შემთხვევაში, მაშინ, როცა ErbB4 სუპერ-ექსპრესია აღწერილ იქნა საკვერცხის გრანულური უჯრედების სიმსივნის დროს. ოჯახის კიდევ ერთი წარმომადგენელია ErbB2 გენი, რომელიც HER2-ს აკოდირებს; გასაოცარია, რომ მას არ აქვს უნარი კავშირი განახორციელოს რომელიმე ცნობილ უჯრედგარე ზრდის ფაქტორთან. HER2 რეცეპტორები უპირატესად ბაზალურ კონფორმაციას ინარჩუნებენ; ეს უკანასკნელი მათ საშუალებას აძლევს სხვა თავისუფალ HER2-ცილებთან ჰომოდიმერები ან ზრდის ფაქტორის მიერ დაკავებულ HER1, HER3 ან HER4 რეცეპტორებთან ჰეტეროდიმერები წარმოქმნან. ვინაიდან დიმერიზაცია ამ ცილის პირველი გადამწყვეტი საფეხურია შიდა ტროპინკინაზური აქტივობის ინიციაციისათვის, HER2-ის თუნდაც ძალზედ მცირედი ხარისხის გადამეტებულმა ექსპრესიამ, შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს უჯრედული ზრდის ნორმალურ რეგულაციაზე. აღსანიშნავია, რომ მკერდის სიმსივნით დაავადებული ადამიანების 20-30%-ში ErbB2-ის გენის ექსპრესია ნორმაზე ორჯერ მეტია.

2. ადამიანის სხვადასხვა სიმსივნეში ErbB/HER-ცილის ნორმიდან გადახრილმა ექსპრესიამ, ამ რეცეპტორის მიმართ მრავალი მედიკამენტური თერაპიის განვითარებას მისცა ბიძგი. ტერაპიული საშუალებების ერთი ჯგუფი, მონოკლონურ ანტისხეულებს მოიცავს, რომლებიც სხვადასხვა HER ქვეტიპის ფუნქციურად მნიშვნელოვან უჯრედგარე დომეინებს უკავშირდებიან. ტრანსტუსუბამი (Herceptin Genentech), ანტი-HER2-ის ანტისხეულია, რომელიც 1998 წლიდან მკერდის ისეტი სიმსივნის მკურნალობაში გამოიყენება, რომელთაც ErbB2/HER2 ზეექსპრესიულობა ახასიათებს. ტრანსტუსუმაბის/ Herceptin მოქმედების მექანიზმი, მოიცავს, როგორც ანტი-სხეულის მიერ იმ იმუნური ფაქტორების მობილიზებას, რომლებიც ანადგურებენ სიმსივნურ უჯრედებს, ასევე HER2 ექტოდომენის პროტეოლიზის (რეცეპტორის საკუთარი მეტალოპროტეაზებით) შესუსტებას, რაც შემდგომ აძლიერებს ამ რეცეპტორების დიმერიზაციას. ცეტუქსიმაბი (IMC-C225 an erbituqsi ImClone) არის ანტისხეული, რომელიც ErbB1/HER1 ცილის EFG-დაკავშირების საიტთან ურთიერთქმედებს და ამის მეშვეობით ხელს უშლის ლიგანდის მიერ გამოწვეულ რეცეპტორის გააქტივებას.

3. ეს აგენტი სეისწავლის თავისა და კისრის ბრტყელ-უჯრედოვანი სიმსივნით ან ფილტვის არა-წვრილუჯრედოვანი ავთვისებიანი

სიმსივნით დაავადებულ პაციენტების კვლევისას. გარდა ამ ანტიბიოტიკულ დაფუძნებული თერაპიისა, შეიქმნა მცირემოდულური მედიკამენტების ძალზე დიდი მრავალფეროვნება, რომელთა მიზანსაც, ErbB/HER ცილის უჯრედშიდა ტროპინინაზული დომენი წარმოადგენს. ეს რეაგენტები, 4-ანილინოქინაზოლინზე დაფუძნებული ნაერთებია, რომლებიც უპირატესად მოქმედებენ როგორც ErbB1/HER1 კინაზების ქვეტიპის ATP-დამაკავშირებელი საიტის კონკურენტული ინჰიბიტორები. დღესდღეობით, ამ მედიკამენტებზე დაკვირვებები მიმდინარეობს იმ პაციენტების კვლევისას, რომლებიც დაავადებულები არიან ფილტვის არაწვრილ-უჯრედოვანი სიმსივნით და არ რეაგირებენ სხვა ტიპის ქიმიოთერაპიაზე.

*სალომე მეფარიშვილი, სალომე ტალახაძე  
კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
სტომატოლოგიის პროგრამა, I დონე*

მომხივნილება ვიტამინ B<sub>6</sub>-ზე და ჩასახვის  
საწინააღმდეგო აბები

ხელმძღვანელი პროფესორი **ნინო თხილავა**

1. ჩასახვის საწინააღმდეგო აბების მომხმარებლებში ვიტამინ B<sub>6</sub>-ზე მოთხოვნილების შესახებ არსებული დისკუსია კარგად გადმოსცემს ბიოქიმიურ შეფასებებთან დაკავშირებულ პოტენციურ პრობლემებს. წლების მანძილზე ვიტამინ B<sub>6</sub>-ს სტატუსის შესაფასებელი ყველაზე გავრცელებული გამოკვლევა იყო ტრიპტოფანით დატვირთვის ტესტი. ის დაფუძნებულია იმ დაკვირვებაზე, რომ ქსოვილებში პირიდოქსილფოსფატის დაბალი დონის დროს ტრიპტოფანის ნორმალური კატაბოლიზმი ირღვევა და მისი უმეტესი ნაწილი კატაბოლიზმდება მინორული გზის მეშვეობით. მრავალი მდგომარეობისას ტრიპტოფანის ფიქსირებული რაოდენობის მიღების შემდეგ ადებულ 24 საათიან შარდში არსებული ქსანტურენმჟავას რაოდენობა ვიტამინ B<sub>6</sub>-ს სტატუსის ღირებული მაჩვენებელია.

2. ვიტამინ B<sub>6</sub>-ს განმსაზღვრელი სხვა კვლევები სხვა სურათს უჩვენებს. მაგალითად, ერთორციტული გლუტამატოქსილაოცეტატამინოტრანსფერაზა წარმოადგენს პიროდოლფოსფატის

შემცველ ფერმენტებს. ვიტამინ B<sub>6</sub>-ს სტატუსის შეფასება შეიძლება ამ ფერმენტების აქტივობის განსაზღვრით და პირილოქსალფოსფატის დამატების შედეგად მათი სტიმულაციის ხარისხით. ეს კვლევები აჩვენებს ძალიან მცირე განსხვავებას ჩასახვის საწინაარმდეგო აბების მომხმარებლებსა და არმომხმარებლებს შორის. ამ შეფასების მიხედვით, ვიტამინ B<sub>6</sub>-ს ნორმალური სტატუსის შესანარჩუნებლად საჭირო პირილოქსინის მინიმალური დონე იყო მხოლოდ 2,0 მკ დღეში, რაც 10-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ტრიპტოფანით დატვირთვის ტესტირებისას იყო ნაჩვენები. რატომ არის ასეთი განსხვავება? ერთის მხრივ, ფერმენტის აქტივობაზე გავლენას ახდენს ჰორმონები, ისევე როგორც ვიტამინური კოფაქტორები. კინურენინაზა, ტრიპტოფანის კატაბოლური გზის პირილოქსალფოსფატის შემცველი ძირითადი ფერმენტი, რეგულირდება როგორც პირილოქსალფოსფატის ხელმისაწვდომობით, ისევე ესტროგენის მეტაბოლიტებით. ვიტამინ B<sub>6</sub>-ს ნორმალური სტატუსის დროსაც კი ფერმენტის უმეტესი ნაწილი არსებობს არააქტიური აპოფერმენტული ფორმით. თუმცა, ეს გავლენას არ ახდენს ტრიპტოფანის მეტაბოლიზმზე, რადგან ტრიპტოფანოქსიგენაზა, ამ გზის პირველი ფერმენტი, არის სიჩქარის განმსაზღვრელი. ამრიგად, აქტიური ჰოლოფერმენტის მცირე რაოდენობა უმკლავდება გზის პირველ ნაწილში მიღებული მეტაბოლიტებს თუმცა კინურენინაზა ინჰიბირდება ენტროგენის მეტაბოლიტებით. ამრიგად ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოყენებისას მისი აქტივობა მცირდება იმ დონემდე, რომ ის ხდებასიჩქარის განმსაზღვრელი და ტრიფტოფანის მეტაბოლიტების ჭარბი რაოდენობა გადაიხრება ქსანთორენმჟავასაკენ.

*ანა ჟულინა*  
*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*  
*საზოგადოებრივი ჯანდაცვა*  
*ბაკალავრიატი, IV დონე*

**ჯანმრთელობითი ძვევის ცვლილება სოციალური მედიის  
კომპონენტის ბაპლიერებით**

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **ირინე ზარნაძე**

1. XXI საუკუნეში დაავადებების პრევენცია მეურნალობასთან შედარებით პრიორიტეტული გახდა. ამისთვის კი აქტიურად იყენებენ ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას და ჯანმრთელობითი ქცევის დადებითი მიმართულებით ცვლილებას. საზოგადოება ძალიან ხშირად იყენებს სწორედ ტერმინებს „ცხოვრების ჯანსაღი წესი“, „ჯანმრთელობითი ქცევა“ და სხვა, თუმცა უმრავლესობამ მათი მნიშვნელობა არც კი იცის.
2. ამავდროულად, აქტუალური ხდება თანამედროვე ტექნოლოგიები. უფრო და უფრო ხშირად ისმის ტერმინი „სოციალური მედია“. განსაკუთრებით პოპულარული ხდება საინფორმაციო თუ სარეკლამო ტიპის პროფილები „მთხოვნად“ სოციალურ ქსელებში. ბოლო ხანებში ეს ტენდენცია საკმაოდ მიდებულა, რადგან ნაკლები დანახარჯებით დიდი რაოდენობით მომხმარებლის მიზიდვა შეუძლიათ. იგივე სიტუაციაა მედიცინაშიც. ანუ ინტერნეტსივრცე გადატვირთულია ე.წ. „კომერციული მედიცინით“. ამის მაგალითია ისეთი ვებ-გვერდები, როგორიცაა Twitter ან Facebook.
3. მაგრამ თითქმის არავინაა დაინტერესებული ასეთი ხელმისაწვდომი მეთოდის პრევენციული მიზნებით გამოყენებაში. სწორედ პოპულარული სოციალური ქსელების გამოყენება მაქვს ასახული ჩემს ნაშრომში. ესაა საკმაოდ იაფი და უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი საშუალება, რადგან დღეს საზოგადოება, განსაკუთრებით კი მისი ახალგაზრდა ნაწილი, სწორედ ამ გზით იღებს ინფორმაციის მნიშვნელოვან მოცულობას.
4. მაქვს პირადი გამოცდილებაც. შევქმენი საინფორმაციო ტიპის გვერდი, რომელიც მიმართული იყო კვებითი ქცევის ცვლილებ-



ისკენ. ჩემი პროფილი საკმაოდ პოპულარული გახდა და ძალიან ბევრი ადამიანი დაინტერესდა.

5. პრევენციული ტიპის პროფილების შექმნა თავისუფლად შეიძლება პოპულარულ სოციალურ ქსელებში. ეს უკავშირდება მცირე მატერიალურ და ტექნიკურ დანახარჯებს. შედეგი კი დახარჯულ თანხებზე გაცილებით დიდი იქნება.

*ანზორ კვაშილავა  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი  
საექიმო საქმე  
ბაკალავრიატი, IV დონე*

მკურნალობის ტაქტიკა მკვრივი აანტიპულარული  
ინფილტრატის გაწოვის შემდგომ პერიოდში

ხელმძღვანელი პროფესორი **სულხან ქემოკლიძე**

1. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა მკვრივი აპენდიკულარული ინფილტრატის გაწოვის შემდგომ პერიოდში მკურნალობის ტაქტიკასთან დაკავშირებით. ავტორთა ნაწილი გვირგვინს მკვრივი აპენდიკულარული ინფილტრატის გაწოვის შემდეგ 2-3 თვეში გეგმიური აპენდექტომიის ჩატარებას. ავტორთა მეორე ჯგუფი აპენდექტომიის ჩატარების რეკომენდაციას იძლევა მკვრივი აპენდიკულარული ინფილტრატის გაწოვიდან 6 თვის შემდეგ. მესამე ჯგუფი კი აპენდექტომიის ჩატარებას მიზანშეწონილად თვლის მკვრივი აპენდიკულარული ინფილტრატის გაწოვიდან 1 წლის შემდეგ. შედარებით იშვიათია ნაშრომები, რომელთა ავტორები გვირგვინს ოპერაციის ჩატარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩამოყალიბდება მწვავე ან ქრონიკული აპენდიციტის კლინიკა.
2. კვლევის მიზანია მკვრივი აპენდიკულარული ინფილტრატის გაწოვის შემდგომ პერიოდში მკურნალობის სწორი ტაქტიკის შემუშავება. ამ მიზნით ჩვენ შევისწავლეთ მკვრივი აპენდიკულარული ინფილტრატის გაწოვის შემდეგ სხვადასხვა პერიოდში 49 ავადმყოფობის ისტორია. გამოტანილია შესაბამისი დასკვნა.

3. ასევე ჩვენ შევისწავლეთ კერძო ქირურგიის სფეროში არსებული სამედიცინო ხასიათის ნაშრომები იმ მიზნით, რათა დაგვედგინა რამდენად სწორად არის ასახული მკვრივი აპენდიკულარული ინფილტრატის გაწოვის შემდგომ პერიოდში მკურნალობის საკითხი. ანალიზი წარმოდგენილი იქნება ნაშრომში. ასევე მოცემული იქნება ავტორისეული ხელვა.
4. მოკრძალებით ვიტყვებთ იმედს, რომ ეს ნაშრომი შეიტანს თუნდაც მცირედ წვლილს და ხელს შეუწყობს სამედიცინო სფეროში წინამდებარე საკითხის ჭრილში არსებული პრობლემატიკის გადაწყვეტის, სრულყოფისა და დახვეწის პროცესს.

*ლანა დათუაშვილი*

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი  
საექიმო საქმე*

*ბაკალავრიატი, VI დონე*

**თამარ ქვარცხავა**

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი  
საექიმო საქმე*

*ბაკალავრიატი, II დონე*

რადიაციული გამოსხივება და მისი ზემოქმედება  
ადამიანის ორგანიზმზე

ხელმძღვანელები პროფესორი **თამარ სანიკიძე**

1. თემის აქტუალობა (თანამედროვე ტექნიკური პროგრესის, რადიაციული ფონის მატების ტენდენციების შესწავლას საერთაშორისო გლობალური მნიშვნელობა ენიჭება).
2. ლიტერატურის მიმოხილვა: რადიაცია, გავრცელებული რადიაციული ელემენტები, რადიაციის წყაროები (ბუნებრივი, ხელოვნური), რადიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაიონიზებული გამოსხივების დამაზიანებელი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე.
3. რადიაციული გამოსხივების როლი კანცეროგენულ პროცესებში.

4. რადიაციული გამოსხივების ზემოქმედება ბირთვულ ქრომოსომებზე.
5. საქართველოს გარკვეულ რეგიონებში რადიაციული ფონის და მისი ცვლილების მახასიათებლები – მონაცემები კვლევებზე დაფუძნებული შედეგებზე.
6. რადიაციული ფონის ცვლილების გავლენა პოპულაციის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (სტატისტიკური კვლევის შედეგები).
7. Jurcat უჯრედებზე (უჯრედების კულტურა, გამოიყენება სხვადასხვა ანტისიმინური დაიჟუნომოდულატორული პრეპარატებისა და რადიაციის სხვადასხვა დოზების ზემოქმედების კვლევისთვის) კვლევების მიხედვით რადიაციული დასხივებით გამოვლენილი ცვლილებები და ანალოგია ადამიანის ორგანიზმთან.
8. შეჯამება. მომავლის პერსპექტივები და მოსალოდნელი შედეგები.

*დარეჯან მამულაშვილი, გვანცა ათაბეგოვი  
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სამკურნალო საქმე  
ბაკალავრიატი, V დონე*

ჭარბი წონა, რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევის მიზეზი

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი **არსენ გვენტაძე,**  
**ქეთი ქანთარია**

1. ჭარბი წონა თანამედროვე მსოფლიოს პრობლემას წარმოადგენს. ჭარბი წონის მონაცემები საგანგაშოა, რაზეც მეტყველებს მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემები, რის გამოც აქტიურად მიმდინარეობს მისი მიზეზებისა და შედეგების შესწავლა. ჭარბი წონის გართულებას წარმოადგენს ისეთი დაავადებები, როგორცაა შაქრიანი დიაბეტი ტიპი II, ათეროსკლეროზი, არტერიული ჰიპერტენზია, ინფარქტი და ინსულტი. ბოლო წლების განმავლობაში ამ ჩამონათვალს მიემატა რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევა, რომლის გამოსავალ-

საც უხშირეს შემთხვევაში წარმოადგენს უშვილობა.

2. ჭარბი წონის შედეგად უშვილობის განვითარება მრავალ რთულ მექანიზმთანაა დაკავშირებული. ჭარბი წონა, სიმსუქნე → მეტაბოლური სინდრომი, ირ/ჰი → მეორადი საკვერცხეების პოლიკისტოზი – ეს არის ის ჯაჭვი, რომელიც განაპირობებს უნაყოფობას. ჰიპერინსულინემია/ინსულინრეზისტენტობა წარმოადგენს ჰიპერანდროგენიის განვითარების მიზეზს. ჰი/ირ განპირობებული ჰიპერანდროგენიას განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება მეორადი საკვერცხეების პოლიკისტოზის ჩამოყალიბებაში. უახლესი მონაცემებით სწორედ ირ/ჰი 40-60%-ში განაპირობებს საკვერცხეებში ზემოხსენებულ ცვლილებებს.
3. ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ გადავწყვიტეთ ჩაკვეტარებიან კვლევა იმის დასადგენად, თუ როგორია ჩვენი კლინიკის პაციენტებში ჭარბი წონით გამოსწვეული რეპროდუქციული დარღვევების წილი. 1800 პაციენტიდან 500-ს აქვს ირ/ჰი და მისგან გამომდინარე რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევები, რაც შეადგენს პაციენტების საერთო რაოდენობის დაახლოებით 22%-ს.
4. მეურნალობის სტრატეგიაში უპირველესყოფლისა მთიაზრება ნორმალური წონის აღდგენა. ჩვენს პაციენტთა უმეტესობაში მოხდა წონის კორექცია და შედეგად რეპროდუქციული ფუნქციის გაუმჯობესება.

*ანა კუპრეიშვილი*

*ვრივლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
სტომატოლოგიის პროგრამა, I დონე*

**ჰალიტოზი და მისი გამომწვევი მიზეზები**

**ხელმძღვანელი პროფესორი ნინო თხილავა,**  
**პროფესორი ეკა ჩხარტიშვილი**

1. ჰალიტოზი – ტერმინი, რომელიც გამოიყენება არასასიამოვნო სუნის აღსანიშნავად, რომელსაც ადამიანი პირის ღრუდან გამოსცემს. ჰალიტოზის პრობლემას გააჩნია სამედიცინო და ფსიქოლოგიური ასპექტები. სამედიცინოს თვალსაზრისით ჰალ-

იტლხის არსებობა მიგვანიშნებს ორგანოთა სისტემების და ორგანოების პათოლოგიებზე, ხოლო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჰალიტოზის შიში ახდენს ნეგატიურ გავლენას ადამიანის სოციალურ ცხოვრებაზე.

2. თანამედროვე სამყაროში ადამიანის კეთილდღეობა განისაზღვრება მისი იმიჯით და პიროვნული ურთიერთობით, აქ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის პირის ღრუს ჰიგიენა. ამ შემთხვევაში ჰალიტოზი განიხილება როგორც სოციალური არასრულფასოვნება. მაგალითად თაღმუდში დაწერილია, რომ თუ ერთ-ერთ მეუღლეს არასასიამოვნო სუნი ექნება პირის ღრუში დაირღვეს ქორწონების კონტრაქტი.
3. ჰალიტოზის გავრცელება პროცენტულად მერყეობს 30%-60%-მდე. სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში მილიონობით ადამიანი მიიჩნევს რომ აქვს არასასიამოვნო სუნი პირის ღრუში და ხარჯავს მილიონობით დოლარებს სხვადასხვა კოსმეტიკურ საშუალებებში. როგორც ვხედავთ პრობლემა საკმაოდ მნიშვნელოვანი და გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, თუმცა ჰალიტოზის შესახებ ცოდნის დონე არ არის საკმარისდ მაღალი როგორც პაციენტებში ასევე სტომატოლოგებშიც. სამეცნიერო ბაზა ჰალიტოზის ეფექტური მკურნალობისთვის და დიაგნოსტიკისთვის ჯერ კიდევ იქმნება. ჰალიტოზის შესწავლა დაიწყო 1940-50 წლებში, როდესაც გამოიგონეს ინსტრუმენტი (ოსმოსკოპი) არასასიამოვნო სუნის გასაზომად. არსებობს სპეციალური საერთაშორისო ორგანიზაცია International Society for Breath Odour Research (ISBOR) რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ჰალიტოზის შესახებ და აერთიანებს სხვადასხვა სპეციალისტებს.
4. სტომატოლოგი მთავარი სპეციალისტია, რომელსაც შეუძლია მოავაროს ჰალიტოზის პრობლემა და ამავდროულად ჩაერთოს სამეცნიერო კვლევებში. ამ პრობლემით შეწუხებული პაციენტი მიმართავს სტომატოლოგს, რომელმაც უნდა დაადგინოს ჰალიტოზის ზუსტი გამომწვევი მიზეზი და დაეხმაროს პაციენტს ამ პრობლემის აღმოფხვრაში. ჰალიტოზის პრობლემა ერთ-ერთი მთავარი მიზეზია იმისა რომ მოსახლეობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პირის ღრუს ჰიგიენას და შეინარჩუნოს პირის ღრუს ჯანმრთელობა.

*ნატო თათრიშვილი, ბერლია ახვლედიანი, თეა დვალისვილი*  
*გრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტი*  
*სტომატოლოგიის პროგრამა, V დონე*

კბილის გათეთრების თანამედროვე მეთოდები

ხელმძღვანელი პროფესორი ქეთევან გოგილაშვილი

1. თეთრი, ქათქათა კბილები ეს ახალგაზრდობის, ჯანმრთელობის და სილამაზის მახვენებელია. ჯანმრთელი კბილების მქონე ადამიანებს ყოველთვის მეტი შანსი აქვთ იყვნენ წარმატებულნი პირად და საზოგადო ცხოვრებაში. ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში კბილები იცვლიან ფერს (ამ მოვლენას დისქლორირზაცია ჰქვია). კარგავენ ფორმას და ბზინვარებას. ფერის შეცვლის მიზეზად შეიძლება იქცეს სხვადასხვა ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები – კბილის ტრავმა, პიგმენტური საკვები (ჩაი, ყავა, წითელი ღვინო, გამაგრილებელი სასმელი და სხვა.) კბილის გათეთრების სახეები: საოფისე გათეთრება, სახლში გათეთრება და თავისუფალი გათეთრება.
2. კბილების გათეთრება ქიმიური პროცესია და პროფესიულ გაწმენდასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ქიმიური გათეთრების დროს ხდება კბილების რამდენიმე ტონით გაღიაება. გათეთრების მექანიზმი კბილის მაგარ ქსოვილში მიმდინარე რთულ ბიოქიმიურ პროცესს ეფუძნება. კბილების გათეთრება წყალბადის ან კარბამიდის ზეჯანგის ქიმიური, სხივური ან სითბური აგენტებით გააქტიურებას უკავშირდება. გააქტიურების შედეგად გამოყოფილი თავისუფალი ჟანგბადის ატომი აღწევს კბილის მაგარ ქსოვილში ისე, რომ არ აზიანებს მას და წვაეს ორგანულ ნაერთებს, შლის კბილის მაგარ ქსოვილში არსებულ პიგმენტურ ცილებს. აღნიშნული ცვლილებები ვიზუალურად კბილების გათეთრების ეფექტს იძლევა
3. კბილების გათეთრების ყველა მეთოდი ეფუძნება კარბამიდის პეროქსიდის მინანქარსა და დენტინში შეღწევის უნარს. კარბამიდის პეროქსიდი იშლება ჟანგბადის თავისუფალ რადიკალებად, რომლებიც ვრცელდება მინანქრის პრიზმების მოლეკულების მიმართულებით და კბილის ყველა შეღებილ მოლეკულას შლის. სწორედ ეს განაპირობებს კბილის ფერის ცვლილებას. ამ დროს კბილის შიდა სტრუქტურა ხელუხლებელი რჩება. მხო-

ლოდ კბილი თეთრდება. გათეთრებისას არ ზიანდება არც მინანქარი, არც დენტინი და არც ბუენი. ხელაღწევა გვირგვინებსა და ბუენებზე მათეთრებელი გელი არ მოქმედებს.

4. გათეთრების უკუჩვენებებია: ორსულობა, ლაქტაცია, ალერგიული რეაქცია წყალბადის ზეჟანგზე, მაქრიანი დიაბეტი, მელანომა, გულის სიმულატორი. აკრძალულია კბილების გათეთრება 16 წლამდე. არსებობს წმინდა სტომატოლოგიური უკუჩვენებები: კბილების მნიშვნელოვანი პათოლოგიური თუ ასაკობრივი ცვლათა, ღრმა ბზარები კბილებზე, სოლისებრი დეფექტები, ეროზიები, კარიესული დეფექტები, პირის ღრუს ღორწოვანის მთლიანობის დაზიანება და ორთოდონტიული მკურნალობა.

*მარი ქირიკაშვილი, მარი ჩიხრაძე, თამარ დანიშაშვილი  
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი  
სტომატოლოგიის პროგრამა, V დონე*

პირის ღრუს ალბილობრივი იმუნოტიმის მაჩვენებლების ცვლილებაში ქრონიკული პაროდონტიტის დროს

ხელმძღვანელი პროფესორი ქეთევან გოგილაშვილი,  
პროფესორი ნინო თხილავა

1. პირის ღრუს ალბილობრივი იმუნოტიმის დაქვეითებით მიმდინარეობს ქრონიკული პაროდონტიტი, რაც დადგინდა ადამიანის ნერწყვის, პირის ღრუს სითხის, ღრძილიდან აღებული პერიფერიული სისხლის გამოკვლევებით. დადგენილია, რომ პაროდონტიტი მიმდინარეობს ნეიტროფილური ლეიკოციტების აქტივობის დაქვეითების და ღრძილიდან აღებული პერიფერიული სისხლის ლიმფოციტების პოპულაციური და სუბპოპულაციური შემადგენლობის ცვლილებების ფონზე. ნერწყვში სხვადასხვა ხარისხითაა გამოხატული ციტოკინების (ინტერლეიკინების –*1b*, –*4*, *a* სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის, ინტერფერონ –*გ*) მატება. დაავადების მძიმე მიმდინარეობის დროს ნერწყვში აღინიშნება სეკრეტორული იმუნოგლობულინების (SIgA) შემცველობის დაქვეითება. კომპლექსური მკურნალობის ჩატარებისას ხდება ქრონიკული პაროდონტიტით დაავადებულთა პირის ღრუს ალბილობრივი იმუნოტიმის კორექცია.

2. მსოფლიო ლიტერატურის მონაცემთა თანახმად, პაროდონტის დაავადებათა გავრცელება აღწევს 98%-ს, მათ შორის წამყვან როლს თამაშობს ქრონიკული პაროდონტიტი. მრავალ ფაქტორთა შორის, რომელიც განაპირობებს ქრონიკული პაროდონტიტის წარმოშობის შესაძლებლობას და განსაზღვრავს მის მიმდინარეობას, ყველაზე მთავარია პირის ღრუს დაცვის ადგილობრივი მექანიზმების მდგომარეობა. ქრონიკული პაროდონტიტის თერაპიის ახალი მეთოდების ძიება და მისი მკურნალობა რჩება აქტუალური. მკურნალობის ხარისხის ერთ-ერთ შესაძლო ობიექტურ კრიტერიუმად შეიძლება ჩაითვალოს იმუნიტეტის ადგილობრივი ფაქტორებისა და მექანიზმების ცვლილებები. ამის გამო გამოკვლეულ იქნა პირის ღრუს იმუნიტეტის ადგილობრივი მექანიზმების და სტატუსის მაჩვენებლები ქრონიკული პაროდონტიტით დაავადებულებში აღნიშნული პათოლოგიის სიმძიმის სხვადასხვა ხარისხის დროს როგორც მკურნალობამდე, ისე მკურნალობის შემდეგ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენი შემდგომი კვლევების მიზანია, შევისწავლოთ პრეპარატ ლაქტობაქტისა და იმუდონის მოქმედება.



**ჰუმანიტარულ მიცნიერებათა სექცია**

***თამარ მახარაძე***

შექსპირის მანაბლისეული პიესები ————— 3

***თელნა ტორაძე***

ჯაზის ხანა და სკოტ ფიცჯერალდი ————— 4

***ნინო ნახუცრიშვილი***

ვიქტორიანული ხანა ————— 5

***ქეთევან ყაველაშვილი***

ამერიკული პროზის კორიფეები - ჩარლზ ბროქდენ  
ბრაუნი, ვაშინგტონ ირვინგი, ჯემს ფენიმორ კუპერი ————— 6

***ხათუნა აზარაშვილი, სოფიკო ხეხელაშვილი***

განრისხებული ასაღგაზრდები ————— 7

***ირმა ცაგურია, გვანცა ჯობაფა***

ბუდა - ბუდისტური რელიგიის ღმერთი ————— 8

***ხატია შედანი***

ბროდვეი ————— 9

**სოციალურ მიცნიერებათა სექცია**

***თამარ ღვაბერძე, ანა ანუშიძე***

ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ————— 10

***ნანა რობიტაშვილი***

ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა ————— 11

***ბექა ფაშალიშვილი***

პოლიტიკური რეკლამა ————— 13

***რუსუდან აგალიანი***

ქართველ პოლიტიკოსთა კამათის ეთიკა  
(ზოგიერთი ტიპური ასპექტი) ————— 14

**მარიამ ცხოვრება შვილი**

თანამედროვე მედიაბაზარი: პრობლემები და პერსპექტივები ————— 15

**მარი მელიქიშვილი**

საზოგადოებრივი მაუწყებლები ————— 16

**გიორგი იაშვილი**

ლოგიკური ხრიკები, ჟურნალისტური არგუმენტირებულობის „მავი ხვრელი“ ————— 17

**ნოდარ ჩხაიძე**

ქართული მედიის ეთიკურობის ხარისხი ————— 18

**თამთა ღვებიაშვილი**

ეთიკის კოდექსი საზოგადოებრივი მაუწყებლის ბრიტანული BBC-ის და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი არხის“ მაგალითზე ————— 19

**ლონდა საბანიძე**

თანამედროვე ქართული მედიის ეთიკურობის ხარისხი ————— 20

**ქეთევან ებიტაშვილი**

ჟურნალისტის ათი მცნება და შვიდნი უპატიებელნი ცოდვანი ქართველ ჟურნალისტთა არსენალში ————— 21

**თამარ ქარდავა**

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ————— 22

**თეკლე კუჭუხიძე**

ინტერნეტი, სოციალური ქსელები, ვიკილიქსი ————— 23

**ირინე მერაბიშვილი**

თენგიზ აბულაძის ზნეობრივი და შემოქმედებითი კრედი — 24

**ზვიად ბარქაია**

პოსტმოდერნი ხელოვნებაში ————— 25

*გიორგი კარანაძე*

რა არის Pop Art? და მისი გავლენა  
თანამედროვე ხელოვნებაზე \_\_\_\_\_ 26

**სამართალმცოდნეობის სექცია**

*ხატია გურგენაშვილი*

ომბუდსმენის ადგილი და როლი საზოგადოებაში \_\_\_\_\_ 28

*მარი მოსიაშვილი*

სიცოცხლის უფლება \_\_\_\_\_ 28

*ნათია ბერაძე*

ადამიანის სიცოცხლის უფლების დარღვევა  
აბორტის გზით \_\_\_\_\_ 29

*ნინო კიკალიშვილი*

სიცოცხლის უფლება და სიკვდილით დასჯა \_\_\_\_\_ 29

*მავდა ქაშხაძე*

სიცოცხლის უფლების ხელყოფა \_\_\_\_\_ 30

*რუსუდან მეფარიშვილი*

უდანაშაულობის პრეზუმფცია \_\_\_\_\_ 31

*ნინო ქავთარაძე*

რეფერენდუმსა და არჩევნებში მონაწილეობის  
მიღების უფლება \_\_\_\_\_ 31

*ნინო იაშვილი*

სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა  
და რწმენის თავისუფლება \_\_\_\_\_ 32

*ანნა გიორვაძე*

უცხოელთა უფლებები საქართველოში \_\_\_\_\_ 33

*ლევან ეგიაზაროვი*

განათლების კონსტიტუციური უფლება \_\_\_\_\_ 34

***ბესიკ ქვარცხავა***

სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი და  
საერთაშორისო ასპექტები – შედარებითი მიმოხილვა ————— 34

***გურამ კორკოტაშვილი***

ტრანსნაციონალური დანაშაული – ტრეფიკინგი ————— 36

***ლიკა გრიშიაშვილი***

სასჯელის აღსრულების სამართლებრივი რეგულირება ——— 36

***გიორგი კეკელიძე***

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ ————— 37

***ქეთევან ბაუჭაძე***

ქორწინების სამართლებრივი რეგულირება ————— 38

***ალკაზ ძაძუა***

ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებები ————— 39

**ეკონომიკისა და ბიზნესის სექტორი**

***ია დარჩია***

თავისუფალი ვაჭრობა და სავაჭრო ბარიერები  
ევროკავშირთან ————— 40

***მარიანა პიჯიანი, მარიამ ხუტუაშვილი***

ფერთა დიზაინის, როგორც ნეირომარკეტინგის  
ერთ-ერთი ინსტრუმენტის გამოყენება თბილისის  
საცალო ვაჭრობის ქსელში ————— 41

***მარიამ შენგელია***

საქართველოს კონიაკის ბაზრის მარკეტინგული  
კვლევა ————— 43

***ელენე კვაჭაძე***

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების  
თავისებურებები ————— 44

<i>ნინო დუმბაძე, მარი გვარიშვილი</i> ქვეყნის ფისკალური მდგრადობის გაუმჯობესება შესაძლო გამოწვევების საპასუხოდ	46
<i>დემეტრე დემეტრაშვილი, თორნიკე დემეტრაშვილი</i> გლობალური სასურსათო კრიზისი და მისი ანარეკლი ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე	47
<i>ანნა გიორგაშვილი, ნინო საბალაშვილი</i> საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი	49
<i>მზია ბერაძე</i> უცხოური კაპიტალის მოზიდვის და გამოყენების თავისებურებანი საქართველოს საბანკო სფეროში	51
<i>სალომე დალაქიშვილი</i> ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის მოკლე ანალიზი საქართველოში	52
<i>თამარ შაიშველაშვილი</i> საბანკო რისკების მართვა	54
<i>თეონა კაპანაძე</i> ფულადი გზავნილების განმხორციელებელი პირების საქმიანობა საქართველოს ფინანსურ ბაზარზე	55
<i>ეკატერინე ორბეთიშვილი</i> სასტუმროთუშეთში	57
<i>ეთერ მათიაშვილი</i> თბილისის სასტუმროების კვლევა ძველი თბილისის რაიონში	58
<i>ზიზი მერაბიშვილი, სულიკო სანდოძე</i> ფრანჩაიზინგის როლი და მნიშვნელობა ბიზნესის განვითარებაში	59
<i>ია კალმახელიძე, მარიეტა კუპრავა</i> ბიზნესის გარემო საქართველოში	60

**თამარ დავითაძე**  
თამაშთა თეორია და თანამშრომლობის ეკონომიკა ————— 61

**სამანტა ბერიძე**  
შრომის ბაზრის ეკონომიკა ————— 62

**თინათინ ქაჭაშვილი**  
კომპანია ბენი და ჯერის საქმიანობის კვლევა ————— 63

## მედიცინის სექცია

**მანანა რობაქიძე, ანა ყუფარაძე, ლია სიჭინავა**  
ცილოვანი კვების დარღვევა ————— 65

**თამარ ორდენიძე**  
ნუტრიციული პრობლემები ახალშობილებში ————— 66

**თეა ღლონტი, ნანა ჩხატარაშვილი, თამარ ნიქაბაძე**  
ErbB/HER ტიროზინკინაზური რეცეპტორის ოჯახი, როგორც ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო ქიმიოთერაპიის სამიზნე ————— 68

**სალომე მეფარიშვილი, სალომე ტალახაძე**  
მთხოვნილება ვიტამინ B<sub>6</sub>-ზე და ჩასახვის საწინააღმდეგო აბები ————— 70

**ანა ჟულინა**  
ჯანმრთელობითი ქცევის ცვლილება სოციალური მედიის კომპონენტის გაძლიერებით ————— 72

**ანზორ კვაშილავა**  
მკურნალობის ტაქტიკა მკვრივი აპენდიკულარული ინფილტრატის გაწოვის შემდგომ პერიოდში ————— 73

**ლანა დათუაშვილი, თამარ ქვარცხავა**  
რადიაციული გამოსხივება და მისი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე ————— 74

*დარეჯან მამულაშვილი, გვანცა ათაბეგოვი*  
ჭარბი წონა - რეპროდუქციული ფუნქციის  
დარღვევის მიზეზი ————— 75

*ანა კუპრეიშვილი*  
ჰალიტოზი და მისი გამომწვევი მიზეზები ————— 76

*ნატო თათრიშვილი, ბერდია ახელედიანი, თეა დვალიშვილი*  
კბილის გათეთრების თანამედროვე მეთოდები ————— 78

*მარი ქირიკაშვილი, მარი ჩიხრაძე, თამარ ღანიშაშვილი*  
პირის ღრუს ადგილობრივი იმუნიტეტის მანვენებლების  
ცვლილებები ქრონიკული პაროდონტიტის დროს ————— 79